კომენტატორი

№1
სექტემბერი, 2013 წელი
ყოველთვიური ანალიტიკური ჟურნალი
ფასი: 1,50 ლარი

ბორია ევროპის ღიგაადე!..

გვ.3

პოსტერი: მსოფლიო ჩემპიონატების ბურთების კოლექციიდან: 1970 წელი, მექსიკა. „ადიდასის“ პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ბურთი „ტელსტარი“

ვარაღიული თეა: ველე თუ ვარაღონა

გვ.19

გვ.12

მესი და ნეიმარი – თავდასხმის მომავალი მრისხანე ტყეტი

ქართული ფეხბურთის ფენომენი

გვ.5

მთავარი რედაქტორი
ტარიელ კინწურაშვილი

**მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატების პირველი ბურთი.
ურუგვაი, 1930 წელი.**

დაგვიკავშირდით, ჩვენთან რეკლამა მომგებიანია თქვენი წარმატებისთვის!

დამფუძნებლები:

კობა ბედოიძე.

ტარიელ კინწურაშვილი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #50
http://bedoidze.site.ge/
ტელ.: 2-51-91-27; 557-59-56-82;
ელფოსტა: kbedoidze@hotmail.com
tariel1981@hotmail.com

ქართული კლუბები ევროთასეულზე

შორია ევროპის ლიგამდე!..

შარშან ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის „დილამ“ ბოლო დროს სახელმოხვეჭილ კვიპროსის „ანორთოსისთან“ შინ 0:1 წააგო. საპასუხო მატჩში კი – შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მათე ვაწაძის ორი და ლაშა სალუქვაძის ერთი გატანილი გოლით დაამარცხა მეტოქე. ამას კვიპროსელი ქომაგები არ ელოდნენ და შეხვედრის ამგვარი განვითარების გამო გაბრაზებულებმა, თავიანთი ქმედებებით თამაში ჩაშალეს, ხოლო „დილას“ ისედაც სამბურთიანი სხვაობით დაფიქსირებული ანგარიში ტექნიკურ მოგებად 3:0 ჩაეთვალა.

„დინამო“-„ტოტენჰემი“, თბილისი, 22 აგვისტო, 2013 წელი

წელს „გორელმა“ ფეხბურთელებმა ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე – ორ რაუნდიან ორთაბრძოლებში დანიური „ოლბორგი“ და ხორვატული „ჰაიდუკი“ ისე გამოთიშეს გათამაშებას, რომ საკუთარ კარში ერთი გოლიც არ მიუღიათ.

უდავოა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოასპარეზე იმ თექვსმეტი გუნდიდან, რომლებმაც ევროთასებზე ასპარეზობა შეძლეს, – გორის „დილას“ მსგავსი ეფექტური და შედეგიანი თამაში არც ერთ მათგანს არ უჩვენებია. გამონაკლისი ალბათ თბილისის „დინამოა“ რომელსაც აქა-იქ ქონდა პერიოდული გამონათებები და ერთხელ იმ ტურნირის ფინალურ ეტაპზე გასვლაც შეძლო, რომლისკენაც წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდნის შემდეგაც მიიწევდა ... მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია თუ რომელი გუნდი არგუნა წილისყრამ ქართული ფეხბურთის ფლაგმანს საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნით სტადიაზე. ეს გუნდი არც მეტი, არც ნაკლები – ლონდონის „ტოტენჰემი“ იყო. ამ ტურნირის (ლაპარაკია ევროპის ლიგაზე, მაშინდელ უეფას თასზე) პირველი გათამაშება „ტოტენჰემმა“ შორეულ 1972 წელს მოიგო, ხოლო ერთი წლის შემდეგ უეფას თასის მერვედფინალში თბილისის „დინამოს“ გადაეყარა. ეს მოხდა იმ წელს, როდესაც დინამოელებმა ესპანეთის ქალაქ უელვაში შთამბეჭდავად მოიგეს კარაველას თასი, თუმცა კი ლონდონელებთან ვერას გახდნენ ჩვენი ფეხბურთელები და მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ მოედანზე მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ფრედ 1:1 ითამაშეს, – განმეორებით შეხვედრაში 1:5 დამარცხდნენ...

მართალია დღევანდელი ლონდონის „ტოტენჰემის“ კარს საფრანგეთის ნაკრების მეკარე უგო ლორისი იცავს, ნახევარდაცვაში ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ნახევარმცველი პაულინიო ირჯება, ხოლო თავდამსხმელი ესპანეთის ნაკრებისა ჰყავთ რობერტო სოლდადოს სახით – თან „ტოტენჰემი“ ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბია მსოფლიოში და ინგლისურ პრემიერლიგაშიც წამყვან პოზიციებზე „ბინადრობს“ – თბილისის „დინამოს“ საკუთარ მოედანზე ხუთი ბურთის გაშვება მაინც არ ეკადრება.

გავანებოთ თავი ჩვენთვის ესოდენ უსიამოვნოდ დაფიქსირებულ ანგარიშს, მაგრამ თუ გუნდი გქვია თუ ფეხბურთელი ხარ და უფრო მეტიც თბილისის „დინამოს“ ფორმა გაცვია, ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში რაიმე ლამაზი საფეხბურთო ეპიზოდით მაინც უნდა დაამახსოვრო თავი სტადიონზე შენს საქომაგოდ მოსულ გულშემატკივარს.

„დინამოს“ გულშემატკივრებისთვის ზაფხულის იმ არც თუ ისე კარგად გასახსენებელ საღამოს, აშკარად გამოჩნდა დინამოელთა სუსტი მხარეები, მაგრამ ყველაზე თვალშისაცემად ეს მაინც ფიზიკური მომზადების ასპექტში გამოიხატა.

„ტოტენჰემი“-„დინამო“, ლონდონი, 12 დეკემბერი, 1973 წელი

გორის „დილა“ – სპლიტის „ჰაიდუკი“ – , თბილისი, 8 აგვისტო, 2013 წელი

ისეთი შეგრძნება დაეუფლებოდა კაცს, თითქოს ფეხბურთელები სიზმარში იყვნენ, გაქცევა უნდოდათ და ვერ გარბოდნენ...

შინაარსი ვერ დავინახე „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის მიერ არჩეულ ტაქტიკაშიც. საქმე ინგლისურ პრემიერლიგაში გამობრძმედილ კლუბთან გვქონდა – კლუბთან რომელიც რეგულარულად ეთამაშება: მანჩესტერულ გუნდებს, თანაქალაქელ „არსენალსა“ და „ჩელსის“, თუნდაც ლივერპულს – ყველა ეს გუნდი კი დამეთანხმებით ევროპის მასშტაბითაც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს, ხოლო მათთან ბრძოლებში გაწაფული „ტოტენჰემის“ მაღალი მცველები თავით ბურთს ასე იოლად, რომ არ გაგვატანინებდნენ, ყველაზე კარგად დინამოელთა მთავარ დამრიგებელს უნდა სცოდნოდა, – ჩვენები კი მაინც ჯიუტად ცდილობდნენ საჯარიმოში ბურთის ჩაკიდებებით გასულიყვნენ ფონს. თავით თამაშში ხომ ინგლისელები მსოფლიოში გამორჩეულები არიან.

მოკლედ ერთი ყბადაღებული ცნობილი დევიზისა არ იყოს: „გასაკეთებელი კიდევ ბევრია!“ პრობლემები როგორც „დინამოში“, ასევე სრულიად ქართულ ფეხბურთში მართლაც, რომ ბლომადაა დაგროვილი და ამ პრობლემების ძირეული აღმოფხვრისათვის, საჭიროა გონივრული სამოქმედო გეგმის შედგენა და რაღა თქმა უნდა მისი მაღალ დონეზე შესრულება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა სათანადო დასკვნებს გამოიტანს, – „სტიაუასთან“ და „ტოტენჰემთან“ შეხვედრებში „დინამოს“ მიერ დაშვებულ შეცდომებს გაანალიზებს და მომავალ წელს ღირსეულად წარადგენს ქართული ფეხბურთის ფლაგმანს ევროპულ სარბიელზე...

წლეულს საერთაშორისო ასპარეზზე ქუთაისის „ტორპედომ“ და საჩხერის „ჩიხურამაც“ ვერ ისახელეს თავი – აი გორის „დილა“ კი სხვა საუბრის თემაა და ამ გუნდზე კარგის მეტი არაფერი ითქმის. გორელთა მთავარი მწვრთნელის გიორგი დევდარიანის მეცადინეობით ფრთაშესხმულმა ფეხბურთელებმა, ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მთელ რიგ მატჩებში გამართული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს.

გორის „დილას“ თამაშმა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურის ცენტრალურ მატჩშიც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. უშუალო კონკურენტ თბილისის „დინამოსთან“ ფრედ 1:1-ზე დასრულებულ თამაშში ნათლად წარმოჩინდა დევდარიანის გუნდის პოტენციალი...

მართალია, გორის „დილა“ ვენის „რაპიდთან“ ორთაბრძოლაში ჩაფლავდა – მათ ვერ გაამართლეს ქართველი გულშემატკივარის მოლოდინი, – უფრო მეტიც, „რაპიდთან“ საშინაო მატჩი „ორიანზე“ ჩაატარეს და ავსტრიელებთან მარცხით, თითქმის ხაზი გადაუსვეს იმ წინა თამაშებსაც, სადაც მათ თავი ისახელეს. ამავდროულად, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ გორის „დილა“ შეკრული გუნდია, რომელსაც სწრაფ ტემპშიც შეუძლია თამაში და, რაც მთავარია, გააჩნია „ხასიათი“ – მებრძოლი ხასიათი. ასეთი თვისება კი ერთობ იშვიათობას წარმოადგენს დღევანდელი ქართული ფეხბურთისთვის. სწორედ მებრძოლი და უდრეკი ხასიათია საჭირო თანამედროვე ფეხბურთში წარმატების მისაღწევად. გორის „დილას“ თავდადებული თამაში მაგალითი უნდა გახდეს სხვა ქართული კლუბებისთვისაც და თვისება, რომელსაც ბრძოლისუნარიანობა ქვია, თითოეულმა მათგანმა უნდა განივითაროს. საამისოდ კი, აუცილებელია, მთავარი მწვრთნელები უნდა იყვნენ მონდომებულნი.

გვინდა თბილისის „დინამოს“, გორის „დილას“ და საერთოდ ყველა ქართულ კლუბს, სრულიად ქართულ ფეხბურთს სამომავლოდ წარმატებები ვუსურვოთ და საქმისადმი გულითადი, პროფესიონალური მიდგომის შედეგად არც ის დრო მგონია ძალიან შორს, როდესაც ქართული კლუბი ჩემპიონთა ლიგის დასკვნით ეტაპზე გააღწევს, ხოლო საქართველოს ნაკრები, რომელიმე დიდი შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. გათამაშების ახალი სისტემის თანახმად, მომავალ ევროპის 2016 წლის საფეხბურთო ჩემპიონატზე ხომ ოცდაოთხი ნაკრები მიიღებს მონაწილეობას – ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებების ბოლოდროინდელი კარგი თამაშების ფონზე კი ქართული საფეხბურთო ცხოვრების მომავალს მაინც უფრო ნათელ ფერებში ვხედავ...

თბილისი, 1973 წელი, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ფეხბურთელები თბილისური მატჩის შემდეგ.

ისტორიული რაკურსი

ქართული ფეხბურთის ფენომენი

„სტატიას ვუძღვნი ქართული ფეხბურთის უდავოდ გამორჩეულ გუნდს თბილისის „დინამოს“ და მათ ახალგაზრდა ქომაგებს. ახალგაზრდა გულშემატკივრებს ვეტყვი, რომ ამ სტატიაში ბევრ საინტერესო ინფორმაციას წააწყდებიან.“

თამამად შეიძლება ითქვას, ქართული ფეხბურთი უდიდესი ფენომენია სპორტულ სამყაროში, რომელიც რიგი მიზეზების გამო, ყოველთვის გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული. მიუხედავად ამისა, ქართული ფეხბურთის ფლაგმანი და სიმბოლო – თბილისის „დინამო“ მუდამ ფავორიტად განიხილებოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. მსაჯების ტენდენციური დამოკიდებულებისა და კიდევ სხვა მრავალი ნიუანსის გამო, ჩვენი გუნდი ხშირად იჩაგრებოდა. თუმცა, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, საკავშირო ჩემპიონატებზე სატურნირო ცხრილებში წამყვან და რეიტინგულ პოზიციას იკავებდა. ეს კანონზომიერიც იყო, ვინაიდან თბილისის „დინამო“, ჩამოყალიბების დღიდან, პირველობას ესწრაფვოდა, რასაც იმთავითვე ქართველ ფეხბურთელთა ხასიათი, შემართება და ოსტატობა განაპირობებდა. სხვადასხვა პერიოდებში „დინამოს“ ღირსებას იცავდნენ ფეხბურთის ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ: **ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, მურთაზ ხურცილავა, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე** და ფეხბურთის კიდევ სხვა უამრავი ნამდვილი ვირტუოზი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. უდიდეს გამარჯვებას კი 1964 წელს მიაღწიეს, როდესაც ტაშკენტში საბჭოთა კავშირის პირველობის გადამწყვეტ მატჩში თბილისელმა ფეხბურთელებმა ფანტასტიკური თამაშით, საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს მოსკოვის ტორპედოელებს და ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ისინი. ქართველ გულშემატკივართა ოცნება და „დინამოს“ სანუკვარი მიზანი ახდა, სასურველი გამარჯვებისაკენ მიმავალი გრძელი და ეკლიანი გზა საბოლოოდ ტრიუმფით დაგვირგვინდა. გზა, რომელიც ნაირგვარი ფაქტორების გამო, ყოველ წელიწადს მეტ-ნაკლებად ებლოკებოდათ, დაძლიეს – ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა გუნდმა იმ წელს პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება და იმ თაობის დინამოელებმა „ოქროს ბიჭების“ სახელით დაიმკვიდრეს ადგილი ქართული სპორტის ისტორიაში.

მრავალი კომპონენტის ერთიანი, ეტაპობრივი და პროდუქტიული განვითარებით – ტექნიკის, ტაქტიკის, ფიზიკური მომზადების, გამოცდილების, სათამაშო კლასის მაღალ დონეზე აყვანით ყალიბდება ძლიერი გუნდი. ყოველივე ამის მისაღწევად კი დრო და მეთოდური განვითარება არის საჭირო. ეს რომ ასეა, ამის დამადასტურებელ მაგალითად გამოგვადგება, თბილისის „დინამოს“ ისტორიასა და, საერთოდ, ქართულ საფეხბურთო ცხოვრებაში არსებული დაძაბული სპორტული ათწლეული, რომელიც სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან ოთხმოციანი წლების სათავემდე გაგრძელდა და საბოლოოდ 1981 წლის 13 მაისს არნახული წარმატებით დაგვირგვინდა.

ევროთასების მოსაპოვებელ ტურნირებზე თბილისის „დინამოს“ „ნათლობა“ 1972 წლის 13 სექტემბერს შედგა. მაშინ, უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში, ჩვენმა ფეხბურთელებმა ჰოლანდიურ ენსხედეს „ტვენტეს“ უმასპინძლეს და ანგარიშით – 3:2 სძლიეს. იმ პერიოდიდან მოყოლებული დინამოელები ინტენსიურად თამაშობდნენ ევროთასებზე და მონაწილეობდნენ მრავალ სხვა საერთაშორისო ტურნირში. თუნდაც 1973 წელს ესპანეთის ქალაქ უელვაში კოლუმბის თასის ტრადიციულ ტურნირზე „დინამოს“ გამოსვლის გახსენება რად ღირს!.. ამ პრესტიჟულ ტურნირში, ჩვენი გუნდის გარდა, „ატლეტიკო“ (ესპანეთი), „ბენფიკა“ (პორტუგალია) და „დერბი ქაუნთი“ (ინგლისი) მონაწილეობდნენ. საგულისხმოა ისიც, რომ სამივე მათგანი თავიანთი ქვეყნების მოქმედი ჩემპიონი იყო.

ტურნირის ცხრაწლიანი ისტორიის განმავლობაში მთავარი ჯილდო, პლატინით გაწყობილი 32 კილოგრამიანი ვერცხლის თასი, რომელიც ქრისტეფორე კოლუმბის „კარაველას“ გამოსახავს, როგორც წესი, ორი მადრიდული კლუბის „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ ნადავლი ხდებოდა ხოლმე. მხოლოდ ორჯერ დაისაკუთრა ის ბრაზილიურმა „სან პაულუმ“.

ჩვენმა „დინამომ“ პირველი მატჩი „ატლეტიკოსთან“ გამართა და ძირითადი დრო ნულოვანი ფრეთი დასრულდა. საბოლოოდ თერთმეტმეტრიანების სერიაში თბილისელთა მეკერე **დავით გოგია** ჩინებულად გაისარჯა – ხუთი დარტყმი-

დან სამი მოიგერია და უაღრესად დაძაბულ ორთაბრძოლაში თავის გუნდს გაამარჯვებინა. მადრიდელთა ძლევის შემდეგ **„დინამოს“** წინ უფრო მრისხანე მეტოქე ელოდა სახელოვანი კლუბის, თვით **ეუსებიოს „ბენფიკას“** სახით. მართალია, ტრავმის გამო, ეუსებიომ ტურნირში მონაწილეობა ვერ შეძლო, მაგრამ, მის გარდა, ლისაბონელთა რიგებში ეროვნული ნაკრების შვიდი ფეხბურთელი იყო და, როგორც მაშინ ესპანური გაზეთები აღნიშნავდნენ, გუნდები თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ. „დინამოს“ შემადგენლობაში არ იყო გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **მურთაზ ხურცილავა**.

მატჩი დინამოელთა სათამაშო უპირატესობით წარიმართა. რაც მთავარია, თბილისელებმა შთამბეჭდავი თამაშით მოხიბლეს მაყურებელი. დინამოელთა შორის განსაკუთრებით **ვლადიმერ გუცაევი** გამოირჩეოდა. მან რამდენიმე პორტუგალიელი ფეხბურთელის გვერდის ავლის შემდეგ საგოლე ჯერ პასი მიაწოდა **დავით ყიფიანს**, ხოლო შემდეგ თავად გაიტანა ორი გოლი, რომელთაგან ერთი მართლაც რომ ულამაზესი იყო. საბოლოოდ ჩვენს გუნდთან პაექრობაში მეტოქე 1:3 დამარცხდა და ტურნირის ისტორიაში **„კარაველამ“** მესამედ მიატოვა ესპანეთი და ჩვენი საკუთრება გახდა. „განთქმულმა „ხომალდმა“ თბილისში დაიდო ბინა.

საქართველოში 70-იან წლებში გამოჩნდა ბევრი მაღალი საფეხბურთო პოტენციალის მქონე სპორტსმენი, რომელთა შესაძლებლობების რეალიზებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ლეგენდარულმა მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა. მან ჩამოაყალიბა გუნდი, რომელიც ქართული ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით შევიდა.

„დინამოს“ ევროთასებზე გამოსვლებთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ორრაუნდიანი დაპირისპირებები ევროპის ორი დიდი გუნდის – მილანის **„ინტერისა“** და **„ლივერპულის“** წინააღმდეგ. „ინტერთან“ ორთაბრძოლები უეფას თასზე 1977 წლის სექტემბერში გაიმართა და პირველი მატჩი, რომელიც მილანის „სან სიროს“ სტადიონზე გაიმართა, იტალიელთა მარცხით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაში ერთადერთი გოლი დავით ყიფიანმა მას შემდეგ გაიტანა, რაც იტალიის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მცველს **ჯიაცინტო ფაკეტის** აართვა ბურთი, შემდეგ საჯარიმო მოედანზე შეიჭრა და საგოლე დარტყმა შეასრულა. განმეორებითი შეხვედრა თბილისში ფრედ 0:0 დამთავრდა და „დინამომ“ ურთულესი იტალიური ბარიერი გადალახა.

ჩვენმა ფეხბურთელებმა 1979 წელს მიაღწიეს სპორტული ფორმის პიკს და „დინამო“ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდა. თბილისელებმა დრამატიზმით აღსავსე ბრძოლების შემდეგ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, რაც „დინამოსთვის“, მისი არსებობის მანძილზე, რიგით მეორე გამოდგა. ამ გამარჯვებით „დინამო“ უნდა ჩაბმულიყო ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. კენჭისყრამ ჩვენს გუნდს მოწინააღმდეგედ უტიტულოვანესი ინგლისური საფეხბურთო გიგანტი **„ლივერპული“** არგუნა, რომელიც თავისი სპორტული დიდების ზენიტში იმყოფებოდა. „ლივერპულ“ ჩემპიონთა თასის მოქმედი (1978) გამარჯვებული იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მას ევროპის ეს ყველაზე პრესტიჟული ტურნირი 1977 წელსაც მოგებული ჰქონდა. ფეხბურთის ბევრ სპეციალისტსა და გულშემატკივარს „ლივერპული“ დაუმარცხებელ გუნდად მიაჩნდათ და კლუბის უძლეველობის მითი პირველ მატჩში არც დამსხვრეულა. „ლივერპულმა“ საკუთარ „ენფილროუდის“ სტადიონზე დაამარცხა თბილისის „დინამო“ ანგარიშით – 2:1. ჩვენი მხრიდან, გოლი გაიტანა გუნდის კაპიტანმა ალექსანდრე ჩივაძემ. გავიდა ორი კვირა – 1979 წლის 3 ოქტომბერი ღირშესანიშნავ დღედ გადაიქცა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. კონტინენტის მთავარ ტურნირში მეთექვსმეტედ მონაწილე ინგლისური „გრანდი“, ჩემპიონთა თასის დებიუტანტთან, თბილისის „დინამოსთან“, ნისლიანი ალბიონისათვის დამახასიათებელ წვიმიან ამინდში, ქართველ გულშემატკივართა თვალწინ განადგურდა. ლივერპულელი მეკარის **კლემენსის** კარში ბურთები ქართული ფეხბურთის ორმა საუკეთესო თავდამსხმელმა **ვლადიმერ გუცაევმა** და **რამაზ შენგელიამ** გაიტანეს. წინა მატჩის მსგავსად, მეტოქის კარი წარმატებით დალაშქრა ჩვენი გუნდის დაცვის ბურჯმა **ალექსანდრე ჩივაძემაც**. მან თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა – 3:0 თბილისელთა სასარგებლოდ, „ლივერპული“ გავარდა... „დინამომ“ ამ სენსაციური გამარჯვებით საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

ამ მოვლენიდან ზუსტად ერთ წელიწადში ქართული ფეხბურთის ფლაგმანი, როგორც საბჭოთა კავშირის თასის გამარჯვებული გუნდი, ისევ ჩაება ევროტურნირებში. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასისთვის ბრძოლაში კვლავ უნდა შესჭიდებოდა რჩეულ ევროპულ კლუბებს. თბილისელებს ამ ტურნირში მონაწილეობა, ერთხელ უკვე ჰქონდათ მიღებული და ამის უფლება მათ სსრ კავშირის თასის ფინალში უპრინციპულესი მეტოქის, ერევნის **„არარატის“** დამარცხების შემდეგ მოიპოვეს. „დინამომ“ ანგარიშით 3:0 დაამარცხა „არარატი“, პირველად დაეუფლა ნანატრ თასს და ჩაება 1976-77 წლების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

მაშინ „დინამო“ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო, ევროტურნირებში მონაწილეობის დიდი ხნის გამოცდილება არ ჰქონდა და ამ ტურნირშიც თავი დიდად ვერაფრით წარმოაჩინა, თუმცა ფეხბურთელებმა საკმაოდ გაიღრმავეს საფეხბურთო ცოდნის არეალი. ეს ცოდნა მომავალი გამარჯვებების ერთ-ერთ მთავარ საწინდრად იქცა.

გავიდა ოთხი წელიწადი. „დინამოს“ უკვე მდიდარი გამოცდილება ჰქონდა მიღებული, მოთამაშეებიც გამოიწვრთნენ ურთულეს ბრძოლებში და გუნდიც მაღალ დონეზე დახელოვნდა. 1980–81 წლების ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, დინამოელებმა ტურნირიდან, როგორც იტყვიან, ერთმანეთის მიყოლებით დაიფრინეს: **„კასტორია“ (საბერძნეთი), „უოტერფორდი“ (ირლანდია), „ვესტ ჰემი“ (ინგლისი)** და გავიდნენ ნახევარფინალში. ამ შეხვედრებიდან ყველაზე გამორჩეული,ინგლისში „ენტონ პარკის“ სტადიონზე ლონდონის „ვესტ ჰემთან“ თამაში იყო. ეს მატჩი თბილისელთა ბენეფისად გადაიქცა. მთელი გუნდი საუცხოოდ გაისარჯა და ქართველ ფეხბურთელთა შთამბეჭდავი თამაში არაჩვეულებრივი წარმატებით – ანგარიშით 4-1 დამთავრდა. ფინალში გამსვლელი გუნდი „დინამოსა“ და როტერდამის **„ფეიენოორდის“** ურთიერთშეხვედრებში უნდა გარკვეულიყო. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, რომელსაც მაშინ ვ.ი. ლენინის სახელი ერქვა, თბილისელებმა ჰოლანდიური ფეხბურთის ერთ-ერთ მოწინავე კლუბს შანსი არ დაუტოვეს და სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს. ჰოლანდიაში გამართული განმეორებითი შეხვედრა კი შეიძლება ასე დასათაურდეს: „ცუდი მსაჯობის კლასიკური მაგალითი“, ცხადია, ჩვენს საწინააღმდეგოდ. მიუხედავად ასეთი დაბრკოლებისა, ქართველმა ფეხბურთელებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს. მართალია ანგარიშით – 0-2 დამარცხდნენ, მაგრამ ეს იყო შემთხვევა, როდესაც დამარცხება, გამარჯვების ტოლფასია და მომავალი წარმატების რწმენას იძლევა. „დინამო“ ფინალში გავიდა... სანუკვარი მიზნის მისაღწევად ერთი თამაშის მოგებაღა იყო საჭირო.

მაშ ასე, 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის „რეინშტადიონზე“ ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ მაშინდელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ქალაქ იენის გუნდი **„კარლ ცაისი“** და თბილისის „დინამო“. საკმაოდ დიდი ალბათობა არსებობდა იმისა, რომ „დინამო“ თავის ძველ ნაცნობ მეტოქეს, ლისაბონის „ბენფიკას“ შეხვედროდა ტურნირის გადამწყვეტ მატჩში, მაგრამ „კარლ ცაისი“ ძნელად გასატეხი კლუბი გამოდგა და უძლიერეს პორტუგალიურ **„გრანდს“** ნახევარფინალში სძლია, მანამდე კი **„რომა“, „ვალენსია“** და უელსის კლუბი **„ნიუპორტი“** გამოთიშა ტურნირიდან. „კარლ ცაისის“ თავდადებასა და ბრძოლუნარიანობაზე თვალნათლივ მეტყველებს ის ფაქტი, რომ იენურმა კლუბმა საკუთარ მოედანზე იტალიის „რომას“ 4-0 მოუგო. არადა, პირველ მატჩში რომის „ოლიმპიურ“ სტადიონზე სამი უპასუხო ბურთი ჰქონდა გაშვებული.

დიუსელდორფში გამართული ფინალი ფეხბურთის ყველა ნამდვილ ქართველ ქომაგს ნანახი აქვს, ამიტომ ამ თამაშში განვითარებული პერიპეტიების დაწვრილებით თხრობა მიზანშეწონილი არ იქნება. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ მატჩის 63-ე წუთზე გერმანელმა **ჰოპემ** თავისი გუნდი დააწინაურა, ხოლო სულ რაღაც ოთხ წუთში გუცაევმა სტატუს-კვო აღადგინა. საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე კი **ვიტალი დარასელიამ** მოწინააღმდეგის მცველებს თავბრუ დაახვია და ულამაზესი გოლი გაიტანა მეტოქის კარში. თბილისის „დინამო“ თასების მფლობელთა თასის ტრიუმფატორი გახდა. უეფას პრეზიდენტმა **არტემიო ფრანკიმ** იქვე, მინდორზე გადასცა „დინამოს“ კაპიტანს ალექსანდრე ჩივაძეს სანუკვარი თასი და თბილისში, მთელ საქართველოში დაიწყო ენით აუწერელი ზეიმი.

მომდევნო სეზონში დინამოელებს თასის შენარჩუნების შესანიშნავი შანსი ჰქონდათ, მაგრამ მიზნის მისაღწევად სულ ცოტა დააკლდათ. თბილისელები ნახევარფინალში გამოეთიშნენ ტურნირს. ჩვენს ფეხბურთელებს პირველობა რომ არ დაეთმოთ, „დინამო“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ისტორიაში გახდებოდა ერთადერთი კლუბი, ვისაც ეს ტურნირი ზედიზედ ორჯერ ექნებოდა მოგებული.

იქიდან მოყოლებული დღემდე, ქართულ ფეხბურთს საერთაშორისო ასპარეზზე, სამწუხაროდ, აღარ გაუბრწყინია, თუმცა, აქა-იქ იყო ცალკეული, თითზე ჩამოსათვლელი გამორჩეული წარმატებები. ნამდვილად აღნიშვნის ღირსია საკვალიფიკაციო, შესარჩევ ეტაპზე, საქართველოს ეროვნული ნაკრების გამარჯვებები **უელსის ნაკრებთან** 5:0, **ბულგარეთთან** 2:1, **პოლონეთთან** 3:0, **უნგრეთთან** 4:1, იმავე **უელსთან გასვლაზე** 1:0, **რუსეთთან** 1:0, **ხორვატიასთან** 1:0 და ასე შემდეგ... მაგრამ დარასელიასნაირი მნიშვნელობის გოლი ქართველ ფეხბურთელს აღარ გაუტანია. ქართულ გუნდს ფურორი აღარ მოუხდენია საერთაშორისო ასპარეზზე.

ქართველი ქომაგი ელოდება საფეხბურთო სამყაროში საქართველოს გაბრწყინებას და ეს, როგორც მინიმუმ, საქარველოს ნაკრების მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრით, ან კიდევ, ქართული კლუბის ჩემპიონთა ლიგის დასკვნით ეტაპზე გასვლით უნდა გამოიხატოს.

დიდი ფილი

2013 წლის კონფედერაციის თასის გათამაშება განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. ამგვარი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამ ტურნირს „საფეხბურთო მექამ“ – ბრაზილიამ უმასპინძლა და შეჯიბრიც საბოლოოდ მასპინძელთა, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონების გამარჯვებით დასრულდა, არამედ ისიც, რომ კონფედერაციის თასის გათამაშებისას ბევრი განსაკუთრებული რამ მოხდა.

დიდ საფეხბურთო ჩემპიონატებს შორის, ეს ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) შემთხვევა იყო, როდესაც ყველა თამაში ლოგიკური შედეგით, უსენსაციოდ დასრულდა. ჯგუფური ეტაპის მატჩებში, ფრეც კი არ დაფიქსირებულა, ხოლო ფინალში, ნახევარფინალში გასული გუნდებიდან დღესდღეობით მსოფლიოს უძლიერესი ორი გუნდი მოხვდა – მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის ზედიზედ ორჯერ მომგები ესპანეთის ნაკრები და უკვე ბოლო სამი კონფედერაციის თასის ტრიუმფატორი ბრაზილიის ნაკრები.

ამ გათამაშებაში უამრავი გოლიც გავიდა და, რაც მთავარია, ბოლო წლებში გამართულ დიდ შეჯიბრებებში, ისეთებში, როგორებიცაა: მსოფლიოს, კონფედერაციის, სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ჩემპიონატები – არც ერთი მოთამაშე ისე არ გაბრწყინებულა, როგორც კონფედერაციის თასზე გაბრწყინდა ბრაზილიელთა შემტევი ფეხბურთელი **ნეიმარი.** მისი თამაში თავისუფლად შეიძლება შეფასდეს ასეთი ეპითეტით – **ფანტასტიკური**...

ამ გათამაშების მთავარი გმირი კიდევ ერთი ბრაზილიელია – „სელესაოს“ მთავარი მწვრთნელი **ლუიშ ფელიპე სკოლარი**. მან გუნდი გამართულად და, რაც ყველაზე საგულისხმოა, ლამაზად, სწორედ რომ, ბრაზილიურ სტილში ათამაშა.

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, თუ ამ სტატიას დავასრულებ მისდამი მიძღვნილი ჩანართით, რომელიც წარმოადგენს ამონარიდს 2008 წელს გამოცემული წიგნიდან – „საფეხბურთო ფილოსოფია“.

„იმის დასტურად, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარი, ისევე, როგორც თუნდაც ჰოლანდიელი რინუს მიხელსი, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელია, მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი თავის საქმეში უბადლოა. დიდმა ფილმა, როგორც მას უწოდებენ, სადაც უმუშავია, ყველგან წარმატებებს მიაღწია. მშობლიურ კლუბებში შთამბეჭდავი მუშაობის შედეგად ის ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად სწორედ მაშინ დანიშნა, როდესაც „სელესაოს“ ყველაზე ძალიან გაუჭირდა.

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ბრაზილიის ნაკრები არასტაბილურად თამაშობდა და იყო საშიშროება, რომ გუნდი ვერ გადალახავდა შესარჩევ ბარიერს. სკოლარიმ ნაკრები მუნდიალზე გაიყვანა. მისმა გუნდმა 2002 წელს სამხრეთ კორეასა და იაპონიის მოედნებზე ფურორი მოახდინა. დიდმა ფილმა ცოტა უცნაური 1-3-3-2-2 ტაქტიკით ათამაშა გუნდი. ნაკრების ძირითადი ბირთვი ასეთი იყო: კარში **მარკუში** იდგა, დაცვის ცენტრი **ლუსიოს** ჰქონდა ჩაბარებული,

დაცვაში მის მხარდამხარ **როკე ჟუნიორი** და **ედმილსონი** თამაშობდნენ. საყრდენ ნახევარმცველად **ჟილბერტო სილვა** იყო გამწესებული. ედმილსონი უნივერსალური ფეხბურთელია და საყრდენი ნახევარმცველის ადგილზე ჟილბერტო სილვასაც უწევდა მეწყვილეობას. მარჯვენა და მარცხენა ფლანგები, შესაბამისად, **კაფუსა** და **რობერტო კარლოსს** ებარათ. ამ ორივე ფეხბურთელს, როგორც დაცვითი ფუნქციების შესრულება, ასევე შეტევებში აქტიური ჩართვაც ევალებოდათ. ნახევარდაცვაში **რივალდო** და **კლებერსონი** თამაშობდნენ. ოდნავ უკანდახეული თავდამსხმელის ფუნქციებს ასრულებდა **რონალდინიო**. გამოკვეთილი თავდამსხმელის პოზიციაზე კი **რონალდო** ირჯებოდა. მათ გარდა, სკოლარის გუნდში შემდეგი ფეხბურთელები ირიცხებოდნენ: **დიდა, როჟერიო სენი, ბელეტი, პოლგა, ჟუნიორი, რიკარდინიო, ვამპეტა, ჟუნინიო პაულისტა, კაკა, დენილსონი, ედილსონი, ლუიზაო.** ამ შემადგენლობით სკოლარიმ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ჯერ არნახული შედეგი აჩვენა.

მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატზე, **ზაგალოს** ხელმძღვანელობით, ბრაზილიის ნაკრებმა ყველა მატჩი ძირითად დროში მოიგო, მაგრამ იმდროინდელი გათამაშების სისტემის მიხედვით, ჩემპიონი გუნდის გამოსავლენად ექვსი თამაშის გამართვა იყო საჭირო, რადგან მაშინ თექვსმეტ გუნდს შორის უნდა გარკვეულიყო გამარჯვებულის ვინაობა. 1998 წლიდან მოყოლებული, მუნდიალზე მონაწილე ნაკრებთა რაოდენობა ოცდათორმეტს შეადგენს და კვარცხლბეკზე ასასვლელად გუნდს უკვე შვიდ მატჩში უწევს მონაწილეობის მიღება. სკოლარისთან ერთად მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ბრაზილიამ შვიდივე თამაში ძირითად დროში მოიგო.

შემდეგ დიდი ფილი პორტუგალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და მისი მეცადინეობით ამ ქვეყნის ნაკრებმა თავისი ისტორიის მანძილზე საუკეთესო შედეგი აჩვენა, პორტუგალიამ ევროპის 2004 წლის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო 2006 წელს გერმანიაში გამართულ მუნდიალზე პორტუგალიის ნაკრებმა ჯგუფში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა, მერე მერვედფინალურ შეხვედრაში ძირითად დროში გაიმარჯვა და ამით სკოლარიმ მსოფლიო ჩემპიონატებზე ზედიზედ თერთმეტი თამაშის ძირითად დროში მოგება შეძლო. ეს ნამდვილად ფანტასტიკური მიღწევა იყო და მის ამ რეკორდს, ალბათ, დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ გაიმეორებს.

ამ ყოველივესთან ერთად, აუცილებლად აღსანიშნავია სკოლარის საფეხბურთო ურთიერთობები ინგლისის ნაკრებსა და მის ყოფილ მთავარ მწვრთნელთან – ეროვნებით შვედ **სვენ გორან ერიქსონთან**.

ვიდრე ამაზე საუბარს შევუდგებოდეთ, ალბათ, ურიგო არ იქნება, ჯერ ის ვიკითხოთ, ნამდვილად არის თუ არა ინგლისის ნაკრები მსოფლიო ფეხბურთის „გრანდი“, როგორც ეს ბევრს მიაჩნია? თავად განსაჯეთ... მაშ ასე შეუქცევადად რატომ მიექანება დღეს ინგლისური ფეხბურთი დაცემისკენ?

არავისთვის სადავო არ არის, რომ ფეხბურთის სამშობლო ინგლისია, მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ იძლევა იმის მტკიცების საბაბს, თითქოს ინგლისი მსოფლიო ფეხბურთის ასპარეზზე მუდამ ძლიერი იქნება. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატი არასოდეს მოუგია. მას უახლოეს მომავალშიც არ ექნება კონტინენტის პირველობაზე გამარჯვების შანსი, ვინაიდან ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში წარუმატებლად იასპარეზა და ჯგუფში ჩარჩა. ამ გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონობა მხოლოდ ერთხელ, 1966 წელს მოიპოვა და ისიც საკუთარ კედლებში.

ფეხბურთის სამშობლოს უკვე ისე გაუჭირდა, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატი ნისლიან ალბიონზე არ აღმოჩნდა და გუნდი იტალიელ **ფაბიო კაპელოს** ჩააბარეს. კაპელომდე ინგლისის ნაკრებს კიდევ ერთი უცხოელი სპეციალისტი შვედი სვენ გორან ერიქსონი წვრთნიდა. მან ნაკრები სამი დიდი შეჯიბრების მეოთხედფინალში გაიყვანა, მაგრამ სამივეჯერ ლუიშ ფელიპე სკოლარის გაწვრთნილ გუნდებთან მოეცარა ხელი. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალში სკოლარის ბრაზილიამ ერიქსონის ინგლისს 2:1 მოუგო და გათამაშებას გამოთიშა.

ევროპის 2004 წლის და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატების მეოთხედფინალებში ერიქსონის მიერ ნავარჯიშევი ინგლისის ნაკრები ისევ დაამარცხა სკოლარის მეცადინეობით გაძლიერებულმა პორტუგალიის ნაკრებმა და ერიქსონიც დაკავებული პოსტიდან გაათავისუფლეს.

საუკეთესო მეკარეები

პეტერ ჩეხი

დღეს ჩეხეთად და სლოვაკეთად ცნობილი ქვეყნები ადრე ერთიან ჩეხოსლოვაკიად იწოდებოდნენ და ერთ ქვეყანას წარმოადგენდნენ. სწორედ ჩეხოსლოვაკია გავიდა მსოფლიოს 1934 წლის და 1962 წლის ჩემპიონატების ფინალებში, რომლებშიც იტალიისა და ბრაზილიის ნაკრებებთან დამარცხდა. აღნიშნული ჩემპიონატების საუკეთესო გოლკიპერებად ამ ქვეყნის მეკარეები დასახელდნენ. 1934 წელს ეს პატივი ლეგენდარულ ფრანტიშეკ პლანიჩკას ერგო, ხოლო 1962 წელს ანალოგიური აღიარება ვილიამ შროიფმა დაიმსახურა. პლანიჩკა წლების განმავლობაში ჩეხური პრაღის „სლავიას“ ღირსებას იცავდა, შროიფი კი სლოვაკური ბრატისლავის „სლოვანის“ კარში იდგა. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ევროპის პირველობის გამარჯვებულიცაა. აი ასეთი უდიდესი საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანა იყო ჩეხოსლოვაკია და ასეთი გამორჩეული მეკარეები ჰყავდათ. მას მერე, რაც ეს სახელმწიფო ორად გაიყო, საფეხბურთო ასპარეზზე ჩეხეთი აშკარად სჯაბნის სლოვაკეთს. ჩეხეთის ნაკრები ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის ფინალშიც გავიდა, რომელშიც დასანანი მარცხი იწვნია გერმანიასთან. დამატებულ ტაიმში გერმანელთა ფორვარდმა ოლივერ ბირჰოფმა ოქროს მედლებიც ალემანთა საკუთრება გახადა. ჩეხეთის ნაკრებმა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც გაიბრწყინა და ნახევარფინალს უწია. ჩეხეთის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი იმედი და ნათელი წერტილი არის განუმეორებელი პლანიჩკას საქმიანობის ღირსეული გამგრძელებელი, თანამედროვეობის გამორჩეული მეკარე, ლონდონის „ჩელსიში“ მოთამაშე პეტერ ჩეხი.

პეტერ ჩეხი 1982 წლის 20 მაისს განთქმული ლუდის სამშობლოში ქალაქ პლზენში დაიბადა. იგი სპორტულ ოჯახში იზრდებოდა. პეტერის მამა ვაცლავი თავის დროზე ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ათჭიდელი იყო. ჩეხი ბავშვობაში ჰოკეიში ვარჯიშობდა, შემდეგ კი გულმა ფეხბურთისკენ გაუწია და ბავშვთა კლუბ „ვიქტორიაში“ ჩაირიცხა. აღსანიშნავია, რომ დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერი თავდაპირველად მარცხენა გარემარბად თამაშობდა, მაგრამ ერთ-ერთი მატჩის წინ გუნდს მეკარე ავად გაუხდა და მისი მოვალეობის შესრულება დაავალეს. როგორც ჩანს, მაშინ მას ეს საქმე ძალიან კარგად გამოუვიდა და დროებით მეკარის ფუნქციების შეთავსება მის პროფესიად გადაიქცა. პეტერს მისი პირველი მწვრთნელი **იოზეფ ზალაუდეკი** ხშირად უმეორებდა შემდეგ სიტყვებს: “პეტერ, რადგან შენი გვარია ჩეხი, ის ჩეხეთისთვის ღირსეულად უნდა ატარო“.

ამსტერდამის ახალგაზრდულ ტურნირზე მშვენივრად გამოსვლის შემდეგ ჩეხმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და 1999 წელს უმაღლესი ლიგის გუნდში ბლშანის „ხმელში“ ჩაირიცხა. ორი წლის შემდეგ ის ქვეყნის უძლიერეს კლუბში პრაღის „სპარტაში“ გადავიდა, რომლის მაისურითაც დაამყარა შესანიშნავი რეკორდი - გააუმჯობესა 1953-54 წლებში, ჯერ კიდევ ერთიან ჩეხოსლოვაკიაში მოასპარეზე ბრატისლავის „სლოვანის“ მეკარის **თეოდორ რაინმანის** მიღწევა, რომელსაც თავისი კარი მშრალად 769 წუთის განმავლობაში ჰქონდა შენარჩუნებული. პეტერმა კი მარტო ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში 903 წუთი შეინახა კარი უგოლოდ, ხოლო თუ ყველა ოფიციალურ შეხვედრას გავითვალისწინებთ, მაშინ ეს დრო 1120 წუთამდე გაიზრდება.

2002 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე პეტერ ჩეხი თავისი ქვეყნის ნაკრების გამარჯვების მთავარი სულისჩამდგმელი გახდა და თავი უმალ უფრო ძლიერ ლიგაში ამოჰყო – ფრანგულმა „რენმა“ შეიძინა. ბრწყინვალე თამაშის წყალობით მან ევროპის წამყვანი კლუბების ყურადღება მიიპყრო. ჩეხი ლონდონის „ჩელსიმ“ იყიდა და ხუთწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა, რომელშიც, უეჭველია, მეტად მომხიბლავი პუნქტები იყო შეტანილი. პეტერმა „ჩელსის“ ქომაგებს იმედები გაუმართლა. **ჟოზე მაურინიომ** იგი ძირითად მეკარედ გაამწესა და მასაც ლონდონელთა წარმატებებში დღემდე უდიდესი წვლილი შეაქვს.

მან „ჩელსისთან“ ერთად: პრემიერლიგა სამჯერ, ინგლისის თასი სამჯერ, ინგლისის სუპერ თასი ორჯერ, ინგლისის ლიგის თასი ორჯერ, უეფას ჩემპიონთა ლიგა ერთხელ და ევროპის ლიგაც ერთხელ მოიგო.

მართლაც შესანიშნავი შედეგია.

ტაქტიკა

საფეხბურთო სტრატეგიების მრავალფეროვნება

მას შემდეგ, რაც ფეხბურთი დაარსდა, ამ თამაშმა მრავალ ასპექტში განიცადა ტრანსფორმირება, მათ შორის ტაქტიკურ სქემებშიც.

1863 წლის 26 ოქტომბერი თანამედროვე ფეხბურთის დაბადების დღედ ითვლება. იმ საუკუნეში, როდესაც ფეხბურთი მოევლინა ქვეყნიერებას, გუნდები განსაკუთრებულ უპირატესობას თავდასხმას ანიჭებდნენ და, ასე განსაჯეთ, რვა თავდამსხმელითაც კი თამაშობდნენ, ხოლო რაც შეეხება დაცვასა და ნახევარდაცვას, საამისოდ თითო-თითო ფეხბურთელი ირჯებოდა.

დრო გადიოდა, საფეხბურთო სტრატეგიები იცვლებოდა და ყოველივე ეს თამაშის მიმდინარეობასა და სტილზე ისახებოდა. პირველი ტაქტიკური სქემა, რომელიც მრავალი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ინგლისში ჩამოყალიბდა და მერე სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ამ სქემას „პირამიდა“ ერქვა. ის დაცვასა და შეტევას შორის ბალანსს აყალიბებდა, რაც, ძირითადად, იმაში გამოიხატებოდა, რომ თავდაცვისას მცველები მოწინააღმდეგის ფლანგიდან შემტევების, ხოლო ნახევარმცველები დანარჩენი სამი თავდამსხმელის მოქმედებებს აკონტროლებდნენ.



მეოცე საუკუნის ოციან წლებში „არსენალის“ მწვრთნელმა **ჰერბერტ ჩეპმენმა** ჩამოაყალიბა ტაქტიკური მონახაზი. ეს სქემა რამდენიმენაირად იკითხებოდა: 3-2-5, 3-4-3 და ყველაზე ხშირად 3-2-2-3.

ამ განლაგებებში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი ცენტრალური ნახევარმცველი იყო – ის გუნდს კრავდა და თავისი მოქმედებებით განაპირობებდა იმას, რომ ფლანგიდან შემტევებსა და თავდამსხმელებს შედეგიანი კონტრშეტევის საშუალება მისცემოდათ. ჩეპმენის შექმნილი სქემა შემდგომაც არაერთხელ გამოუყენებიათ ინგლისურ გუნდებს, მაგრამ მის დარწარმატებებს ვერც ერთი მწვრთნელი ვერ გაუტოლდა.

უდავოდ გამორჩეული ტაქტიკური სქემა იყო 4-2-4. თუნდაც იმიტომ, რომ ის იყო პირველი, რომელიც ციფრებით გამოსახეს – ბოლოს და ბოლოს მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო გუნდებმა 1958 და 1970 წლის ბრაზილიის ნაკრებებმა ამ სქემით მოიგეს მსოფლიო ჩემპიონატები.

განსხვავებით ჩეპმენის ტაქტიკისგან, სადაც მცველებს მეტოქის ნახევარზე გადასვლა ეკრძალებოდათ, 4-2-4 ტაქტიკის შემთხვევაში დამცველებს მეტი თავისუფლება ეძლეოდათ და ისინიც ხშირად ერთვებოდნენ შეტევებში.

ეს სქემა დიდ სიფრთხილესაც მოითხოვდა, რადგანაც ნახევარდაცვაში ორი ფეხბურთელის ყოლით გაჩენილი თავისუფალი სივრცეები, მოწინააღმდეგის სწრაფ მოთამაშეებს თავიანთ სასიკეთოდ, რომ არ გამოეყენებინათ. ამიტომ საჭირო იყო, რომ ამ განლაგებით მოასპარეზე გუნდის ფეხბურთელები ფიზიკურად კარგად ყოფილიყვნენ მომზადებულები.

რაც შეეხება 4-3-3 სქემას, ის 4-2-4–ის მოდერნიზებული ვარიანტია. ამ სიტუაციაში უფრო მყარი ხდება დაცვა, რადგან თავდასხმას ერთი კაცი აკლდება და მისი ნახევარდაცვაში გადანაცვლებით, შეტევაში დარჩენილ სამ თავდამსხმელსაც უფრო მეტად პროდუქტიული მანევრირებისა და სახიფათოდ მოქმედების საშუალება ეძლევათ, თუმც ეს იმაზეც არის დამოკიდებული, ესა თუ ის გუნდი, როგორ მოერგება ამა თუ იმ სათამაშო სქემას.

ბოლო პერიოდში, გუნდების თამაშიდან გამომდინარე, ამ საფეხბურთო სტრატეგიას ყველაზე შთამბეჭდავად და შედეგიანად 1990–იანი წლების ამსტერდამის „აიაქსი“ იყენებდა. აქ პირველ რიგში გა-

სათვალისწინებელია მათი თამაშის ხარისხი, ხოლო მაგ გუნდმა როგორ წარმატებებსაც მიაღწია კარგად მოეხსენებათ ფეხბურთის ქომაგებს.

ეხლაც მახსოვს იმ დროინდელი „აიაქსის“ ძირითადი შემადგენლობის განლაგება: კარში **ედვინ ვან დერ საარი** იდგა, მარჯვენა და მარცხენა მცველებად, შესაბამისად **მიხაელ რაიციგერი** და **ფრანკ დე ბური** ირჯებოდნენ, დაცვის ცენტრში გუნდის კაპიტანი **დანი ბლინდი** და **ფრენკ რაიკაარდი** იყვნენ გამწესებულნი. ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე **ზეედორფი** ასპარეზობდა, ხოლო მარჯვნივ **რონალდ დე ბური**. ცენტრალური შემტევი ნახევარმცველი იყი იმ გუნდის ლიდერი ფინელი **იარი ლიტმანენი**. ცენტრალურ თავდამსხმელად ნიგერიელი **ნვანკო კანუ** განიხილებოდა, რომელსაც წარმატებით ცვლიდა ხოლმე **პატრიკ კლიუვერტი**. მარჯვენა გარემარბად ასევე ნიგერიელი **ჯორჯ ფინიდი** თამაშობდა, მარცხნიდან კი **მარკ ოვერმარსი** უტევდა. ამ გუნდს სახელოვანი ჰოლანდიელი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** წვრთნიდა.

როდესაც საფეხბურთო სტრატეგიებზე და, მით უფრო, ამსტერდამის „აიაქსზე“ ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ ვახსენოთ ტოტალური ფეხბურთი, რომელმაც ძირეული ცვლილებები შეიტანა საფეხბურთო სამყაროში.

პირველი გუნდი სწორედ „აიაქსი“ იყო, ვინაც ტოტალური ფეხბურთი ითამაშა. ამ გუნდში ეს სათამაშო სტილი **ჯეკ რეინოლდსმა** დანერგა, ხოლო მის ტაქტიკურ ჩანაფიქრებს მოგვიანებით ფრთები შეასხა ლეგენდარულმა მწვრთნელმა **რინუს მიხელსმა**. მის ხელში ამსტერდამელებმა 1969-1973 წლებში ზედიზედ სამჯერ მოიგეს ჩემპიონთა თასი.

მიხელსის გაწვრთნილმა ჰოლანდიის ნაკრებმა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე სანაკრებო დონეზეც დანერგა ტოტალური ფეხბურთი. იმ გუნდის ლიდერი იყო მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი **იოჰან კრუიფი**.

ამ ტაქტიკაში მთავარია როტაცია და ერთ დროს მხოლოდ ჰოლანდიელებზე მორგებული ეს სათამაშო სტილი დღესდღეობით ისეა განვითარებული, უკვე საკმაოდ ხშირად გოლები მეკარეებს გააქვთ, არც თუ იშვიათად კი ბურთი კარიდან თავდამსხმელებს გამოაქვთ.

და ბოლოს ორიოდ სიტყვა კიდევ ერთ განთქმულ საფეხბურთო ტაქტიკაზე „კატენაჩოზეც“ ვთქვათ:

შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელის **კარლ რაპანის** მიერ შექმნილი სტილი იტალიაში **ნერეო როკომ** შეიტანა, მოგვიანებით კი რაპანისეული სქემატიკა არგენტინელმა **ელენიო ერერამ** 1960–იან წლებში მილანის „ინტერში“ დანერგა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. სათამაშო სტილმა, რომელსაც „კატენაჩო“ ჰქვია იტალიურ ფეხბურთზე დიდი გავლენა იქონია. „კატენაჩოს“ ფილოსოფია მკაცრად დაცვაზე ორიენტირებული თამაშია. ამ საფეხბურთო მიმდინარეობის გამოგონებაა „ლიბერო“ – თავისუფალი მცველი. ლიბეროს მოვალეობაა მოწინააღმდეგის თავდამსხმელების განეიტრალება, საკუთარი მცველების დაზღვევა და საჭიროების შემთხვევაში პერსონალური მეურვეობაც.

მესი და ნეიმარი თავდასხმის მომავალი მრისხანე დუეტი

მსოფლიოს არც ერთ გუნდს კარგა ხანია, (თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით – არასდროს) არ ჰქონია ისეთი მძლავრი პოტენციის თავდასხმის ხაზი, როგორც ამჟამად ესპანურ „ბარსელონას“ აქვს **მესისა** და **ნეიმარის** სახით. ამ სპორტსმენების სიძლიერეზე მათ მიერ მოპოვებული ინდივიდუალური ჯილდოები მოწმობს, ხოლო მოედანზე თუ როგორი საფეხბურთო სასწაულების მოხდენა შეუძლიათ, ეს არა ერთხელ უხილავს ფეხბურთის ქომაგს.

მესი და ნეიმარი

მთელი საფეხბურთო სამყარო სულმოუთქმელად ელოდებოდა ახალი სეზონის დაწყებას, რათა ამ ორი განუსაზღვრელი შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელის თამაში ეხილა ერთ გუნდში. საინტერესო იქნება, თუ როგორ გაუგებენ ისინი ერთმანეთს, როგორ შეთამაშდებიან და მათი მოქმედებები ურთიერთკომბინირებულ ასპექტში რა შედეგს გამოიღებს. იქნება კი ეს შემტევი დუეტი ისეთი მრისხანე, როგორიც დღესდღეობით მოჩანს?

თქვენს ყურადღებას, ამ ორი ფეხბურთელის მიერ მოგებულ, განსაკუთრებულად ღირებულ გუნდურ ტიტულებზე შევაჩერებთ:

ლიონელ მესი. დაიბადა 1987 წლის 24 ივნისს.

მან „ბარსელონასთან ერთად ესპანეთის ჩემპიონატი ხუთჯერ, ესპანეთის თასი ერთხელ, ესპანეთის სუპერთასი ხუთჯერ, უეფა-ს ჩემპიონთა ლიგა სამჯერ და უეფა-ს სუპერ თასი ორჯერ მოიგო. არგენტინის ნაკრებთან ერთად კი ოლიმპიურ ოქროს დაეუფლა და მსოფლიოს ოც წლამდელთა ასაკის ჩემპიონატშიც იპირველა.

რაც შეეხება ნეიმარს – ის 1992 წლის 5 თებერვალს დაიბადა.

მან „სანტოსის“ შემადგენლობაში, პაულისტას ჩემპიონატი ორჯერ, ბრაზილიის თასი, სუდამერიკანა და კოპა ლიბერტადორესი კი თითოჯერ მოიგო.

ნაკრების შემადგენლობაში სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული არის, ხოლო წელს შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა ეროვნულ გუნდთან ერთად ფიფა-ს კონფედერაციის თასზე.

დაველოდოთ! მესი ნეიმარის დუეტი, რიხით და მრისხანეთ აპირებს შეჭრას ფეხბურთის ისტორიაში...

იდეა

ეჭვგარეშეა! – იდეა, რომელიც ათი წლის ასაკს

ეს წერილი 2003 წლის ივნისში ფიფასთან მიმოწერაა

ბატონო ბლატერ, როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ გსურდათ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ყოველ ორ წელიწადში გამართვა. ჩემი აზრით, ამ პროექტის განხორციელება არსებულ ვითარებაში მეტად რთული მოსახერხებელია. იდეა, რომელსაც მე გთავაზობთ, გარკვეულწილად ამასთანაც არის კავშირში. ყოველივე ეს ჩემი გათვლებით, კარგ ფინანსურ მოგებას მოუტანს ფიფას, კიდევ უფრო აამაღლებს და განავითარებს თანამედროვე ფეხბურთს.

ჩემი იდეის არსი ასეთია: შეიქმნას ლიგა რვა ნაკრებით. აქედან ექვსი შეირჩეს შემდეგი კრიტერიუმით – გუნდს, რომელიც იყო მსოფლიოს ჩემპიონი, თითო ჩემპიონობაზე დაერიცხოს 5 ქულა, ყოველი მეორე ადგილისთვის 3 ქულა, ყოველი მესამე ადგილისთვის 2 ქულა, ხოლო მეოთხე ადგილისათვის 1 ქულა.

დღესდღეობით ზეექვსეული ასეთია: ბრაზილია, იკავებს პირველ პოზიციას 35 ქულით, შემდეგ მოდიან, თანმიმდევრობით: გერმანია 32, იტალია 24, არგენტინა 16, ურუგვაი 12 და საფრანგეთი 9 ქულა. მეშვიდე ნაკრები იქნება იმ მომენტისათვის ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე, ხსენებულ ზეექვსეულის გუნდის ან გუნდების შემდგომ ადგილზე გასული ნაკრები. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ დღევანდელ სიტუაციაში ეს იქნებოდა თურქეთი, ვინაიდან მათ შეძლეს ბოლო მსოფლიოს პირველობაზე დაეკავებინათ პოზიცია ბრაზილიისა და გერმანიის შემდეგ. მერვე მონაწილე კი გაირკვევოდა იმავე ქულათა შეკრების სისტემით – მეშვიდე და მერვე ადგილზე მყოფი ნაკრებების ურთიერთშეხვედრით, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდებოდა ფიფას მიერ გამოყოფილ ამხანაგური თამაშების ერთერთ დღეს. ამრიგად, მე-7 ნაკრები 7 ქულით არის ჰოლანდია, ხოლო მე-8 ნაკრები 6 ქულით – ინგლისი.

დღეისათვის „ექსტრალიგის“ სრული შემადგენლობა ასეთი იქნებოდა: ბრაზილია, გერმანია, იტალია, არგენტინა, ურუგვაი, საფრანგეთი, თურქეთი და ჰოლანდიასა და ინგლისს შორის გამარჯვებული.

FIFA
For the Good of the Game

Mr.Tariel Kintsurashvili
22 Iosebidze Str.
0160 Tbilisi
Georgia

Zurich, 25 June 2003

Re: "Extra League" Proposal

Dear Mr. Kintsurashvili,

I am pleased to reply to you on behalf of the FIFA President, Mr. Joseph S. Blatter, and to thank you for your letter dated 11 June 2003, regarding the above topic.

FIFA does not have any plans to create additional competitions for senior national teams, especially in the current climate of attempting to minimise the number of matches that top-level players are involved in. Moreover, to create another competition that is similar to the FIFA World Cup™ would reduce some of the allure and excitement of the world's premier football event, and that is something that nobody in the football community would appreciate.

I trust this information will be of use to you and thank you for your support of the beautiful game.

Yours sincerely,

FEDERATION INTERNATIONALE
DE FOOTBALL ASSOCIATION

John Schumacher
Media Department

Fédération Internationale de Football Association
Hitzigweg 11 P.O.Box 85 8030 Zurich Switzerland Tel: +41-1/384 9595 Fax: +41-1/384 9696 www.fifa.com

(ეს წერილი ათი წლის არის და ამ ქვეყნების ჩამონათვალში, იგივე ესპანეთი და სხვა რამ ცვლილებები ამიტომ არ ფიგურირებს)

რაც შეეხება გათამაშების სისტემას, უნდა ჩამოყალიბდეს ორი ოთხგუნდიანი ჯგუფი. ჯგუფებში კენჭისყრით განთესილი ორი გუნდი იქნება იმ მომენტისათვის მონაწილე ნაკრებებს შორის ფიფას ოფიციალურ რეიტინგში ყველაზე მაღლა მდგომნი. ჯგუფებში თამაშები გაიმართება ჩვეულებისამებრ, წრიული სისტემით. ფინალში კი გავლენ A და B ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული ნაკრებები. ორივე ჯგუფში მატჩების სრულად ჩატარებას დასჭირდება ექვსი დღე. გამოვლინდებიან ჯგუფის პირველადგილოსნები. ამის შემდეგ მომდევნო ორი დღე იქნება თავისუფალი. ტურნირის დაწყებიდან მეცხრე დღეს კი გაიმართება ფინალი. ესე იგი, შეჯიბრება მხოლოდ ცხრა დღეს მოიცავს და მისი

აგრერიგად გადატვირთულ საფეხბურთო კალენდარში ჩასმაც ძალიან არ გაძნელდება.

ეს იქნებოდა თავისი მნიშვნელობით მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომ მდგომი ტურნირი, რომელიც გაიმართებოდა ფიფას ეგიდით. ამჟამად „მუნდიალის“ შემდეგ ყველაზე პრესტიჟულ ასპარეზობად, ნაკრებების დონეზე ითვლება ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც უეფა ატარებს. ამ შეჯიბრის სისრულეში მოყვანით თქვენ შეძლებთ მესამე პოზიციაზე გადასწიოთ ევროპის ჩემპიონატის მნიშვნელობა და მეორე ადგილს დაიმკვიდრებს ის ასპარეზობა, რომლის ჩატარებასაც გთავაზობთ. „ექსტრალიგა“ უფრო მრავალფეროვანს გახდის საფეხბურთო სამყაროს.

ახლა, რაც შეეხება ფინანსებს: “ექსტრალიგა“,რომელშიც მისი სპეციფიკიდან გამომდინარე ყოველთვის თავმოყრილი იქნება საფეხბურთო მოდის მკარნახებელი რვა უმაღლესი კლასის ნაკრები, ამ ტურნირისადმი ხალხის უსაზღვრო ინტერესს პროექტის არსშივე ბადებს. შესაბამისი რეკლამირების შემთხვევაში კი იგი უზარმაზარ პოპულარობას ჰპოვებს. ტურნირი ალბათ, გაიმართება (ამას ფიფა გადაწყვეტს) შეჯიბრის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში ან განვითარებულ და ამასთანავე ფეხბურთში არა მოწინავე სახელმწიფოში, მაგალითად: აშშ-ში, ჩინეთში, ავსტრალიაში,იაპონიაში, სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ კორეაში და ა.შ... (ამ გამონაკლისის შემთხვევაში შეიძლება გარკვეული მოდერნიზაცია მოხდეს გათამაშების სისტემაში).

ეს შეჯიბრება ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო და მომგებიანი გახდება ტელეტრანსლირებისა და რეკლამის თვალსაზრისითაც.

მხოლოდ ბილეთებიდან მიღებული შემოსავალი, რომ დავიანგარიშოდ, – უნდა ჩატარდეს 13 თამაში, – ორიენტირად თითო თამაშზე 50 ათასი მაყურებელი და ბილეთის ღირებულება 100 დოლარი ვიგულისხმოდ და მოგება შეადგენს 65 მილიონ დოლარს. ეს როგორც მინიმუმი, თორემ ისეთ ტურნირში, რომელიც თავისი სპეციფიკით მეტად მჭიდროა და სადაც ერთმანეთს შეერკინებიან ისეთი „გრანდები“, როგორებიც არიან: ბრაზილია, გერმანია, იტალია, არგენტინა, ურუგვაი, საფრანგეთი და იმ დროისათვის კიდევ უძლიერესი სხვა ორი გუნდი, – მაყურებელიც მეტი დაესწრება თამაშებს და ბილეთსაც ფასი უფრო მაღალი ექნება.

ტურნირი ცხრა დღიანია, რომელიც, სავარაუდოდ, კენტ წლებში განთავსდება, ხოლო ამ ხნის განმავლობაში უნდა გაიმართოს ცამეტი უნიკალური თამაში. ამიტომ ექსტრალიგის თითოეული მატჩის ტელეტრანსლირება უნდა გაიყიდოს ძვირად. ტურნირს სჭირდება ხუთი დიდი სტადიონი, რომელიც სასურველია აირჩეს ხუთ დიდ ქალაქში. ქვეყანაში ამ ფორუმის მასპინძელი ქალაქები უმჯობესი იქნება შეირჩეს ისე, რომ იგი მთელ ქვეყანას მოიცავდეს. დავუშვათ ტურნირის იტალიაში ჩატარების შემთხვევაში მასპინძელი ქალაქები ასე წარმომიდგენია: რომი, მილანი, ნეაპოლი, ტურინი და პალერმო.

„ამ იდეას ფეხბურთის ზემდგომ ორგანოში გამოეხმაურნენ და 2003 წლის 25 ივნისს მივიღე წერილი „ფიფადან“. წერილში იდეისადმი მოწონებას ადასტურებენ და მადლობას მიხდიან ასეთი აზრის მიწოდებისთვის.“

ტარიელ კინწურაშვილი



ელექტრონული ჟურნალი ოქვენი პატარებისათვის. მოიკითხეთ პრესის გავრცელების ობიექტებში.

ერთი ღამე და მთელი ცხოვრება

აკაკი ბედოიძე

წიგნის მოყვარულებს ვთავაზობთ აკაკი ბედოიძის წიგნს – „ერთი ღამე და მთელი ცხოვრება“. იყიდება წიგნების მაღაზიებში: „პარნასი“ (თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრ. 22) და „სამშობლო“ (თბილისი, ყაზბეგის პროსპექტი №4)

წიგნის თაკრო

თევდოროე

გამოვიდა ვახტანგ ხუციშვილის ნოველა „თევდორე.“

კომპაქტდისკზე ჩაწერილ ვიდეორგოლთან ერთად. წიგნი იყიდება „ბიბლუსის“ წიგნების მაღაზიათა ქსელში თბილისშიც და რეგიონებშიც.

პარადოქსი

თბილისის „დინამოს“ მონაგარი წლევანდელ ევროთასებზე:
მოგება – 2; ფრე – 1; წაგება – 3.
ბურთების შეფარდება: 10 – გატანილი (აქედან ცხრა გოლი „დინამოელებმა“ ფარერების ნახევრად სამოყვარულო კლუბს გაუტანეს), 13 – მიღებული.

გორის „დილას“ მონაგარი წლევანდელი ევროპის ლიგის გათამაშებაში:
მოგება –3; ფრე – 1; წაგება – 2.
ბურთების შეფარდება: 5 – გატანილი, 4 – მიღებული.

მსოფლიო ჩემპიონატების ბ
1970 წელი, მექსიკა. „ადიდასის“ პირველი მს

ბურთების კოლექციიდან:
ოფლიო ჩემპიონატის ბურთი „ტელსტარი“.

ოლივერ კანი

ტიტანები

ვარაღიული თვეა: პელე თუ ვარაღონა

პელე თუ მარადონა? – მარადონა თუ პელე? ეს შეკითხვა მუდმივი კამათის საგანია საფეხბურთო სამყაროში. სწორედ ამ თემისადმი მიძღვნილ ამონარიდს გთავაზობთ წიგნიდან „საფეხბურთო ფილოსოფია“, რომელშიც ორი ზეფეხბურთელის და ჩემი აზრით, მათზე არანაკლები სიძლიერის კიდევ ერთი მოთამაშის ლუის ნაზარიო დე ლიმას – იგივე რონალდოს ირგვლივ ვითარდება მოვლენები...

ოთხმოცდაათიანი წლების შუა პერიოდში რონალდოს მართლაც ფენომენალურმა თამაშმა აღაფრთოვანა მთელი მსოფლიო. ენით აუწერელმა მისმა ტექნიკამ, განუმეორებელმა დრიბლინგებმა და უამრავმა ულამაზესმა გოლმა იმ პერიოდში საფეხბურთო სამყაროში ის აჟიოტაჟი გამოიწვია, რომლის ანალოგი მხოლოდ ოთხმოციანი წლების შუა პერიოდში მარადონასთან დაკავშირებით მოხდა, ანუ გახდებოდა თუ არა ფეხბურთის ახალი მეფე – მარადონა. იმ პერიოდში, არგენტინელის თამაშიდან გამომდინარე, ამის ყველანაირი წინაპირობა არსებობდა, მაგრამ, ჩემი აზრით, იყო სამი კომპონენტი:

* შეძლებდა კი მარადონა ოცი წლის განმავლობაში ისეთ სტაბილურ და უმაღლესი დონის თამაშს, როგორც ეს პელემ შეძლო?
* მოიგებდა ის იმდენ ტიტულს თავისი კარიერის მანძილზე, რამდენიც პელემ მოიგო?
* გაიტანდა მარადონა იმდენ გოლს, თუნდაც იმის ნახევარს, რამდენიც ფეხბურთის მეფემ გაიტანა?

ამ სამი კომპონენტიდან უდიდესმა და უდიადესმა, მსოფლიოს ყველა დროის კაშკაშა „სუპერვარსკვლავმა“ დიეგო არმანდო მარადონამ ვერც ერთი ვერ შეასრულა და ვერ შესწვდა „მეფის გვირგვინს“.

შეიძლება ახლა ვინმემ თქვას, მარადონა რომელი ცენტრალური თავდამსხმელი იყო, იმდენი გოლი რომ გაეტანა, რამდენიც ეს პელემ მოახერხაო?! მათ საპასუხოდ ვიტყვი: ფეხბურთს უამრავი ცენტრფორვარდი ჰყოლია, მაგრამ პელესდარ შედეგებს ვერ შესწვდნენ. პელე ისეთი სტილის თავდამსხმელი არ იყო, მხოლოდ დაგორებული ბურთებისთვის ფეხი ეხვედრებინა და ისე მოეთავსებინა ხოლმე მეტოქის კარში, ის შემოქმედი ფეხბურთელი იყო, რომელიც მარადონასი არ იყოს, შეტევის ორგანიზებაშიც იღებდა მონაწილეობას, პასებსაც ასრულებდა და ბევრი გოლიც გაჰქონდა. აი, ზუსტად ამიტომ ვთქვი მესამე კომპონენტში – „თუნდაც იმის ნახევარს მაინც თუ გაიტანდა მეთქი“.

ფეხბურთის ახალ მეფეზე საუბარი კი იმ დროიდან დაიწყო, როდესაც დიდ ფეხბურთში ლუის ნაზარიო დე ლიმა, იგივე რონალდო გამოჩნდა. ოცდაერთი წლის რონალდოს უკვე იმდენი ინდივიდუალური და გუნდური ჯილდო ჰქონდა მოგებული, რამდენიც მარადონამ მთელი თავისი კარიერის განმავლობაში ვერ მოიგო. დავიწყოთ იმით, რომ ჩვიდმეტი წლის ასაკში რონალდო მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ ეს მის აქტივში არ შემაქვს, რადგან აშშ-ში 1994 წელს ფეხბურთის მომავალი ფენომენი მოედანზე არ გამოჩენილა. აი, სხვა გუნდურ წარმატებებში მისი ღვაწლი განუზომელი იყო. ოცდაერთ წლამდე ის გახდა: ჰოლანდიისა და ესპანეთის ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი, დაეუფლა ჰოლანდიის თასსა და ესპანეთის სუპერთასს, მოიგო უეფას თასი და ევროპის თასების მფლობელთა თასი, ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მოიგო „კოპა ამერიკა“, გაიმარჯვა კონფედერაციის თასზე. ორჯერ დასახელდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად, ერთხელ გადაეცა ოქროს ბურთი და ესპანეთის ჩემპიონატში გატანილი ოცდათოთხმეტი გოლის გამო ოქროს ბუცის მფლობელიც გახდა. ყველა ამ მოგებულ ტურნირში რონალდო ბრწყინავდა და იმ გუნდებში, სადაც ასეთ დიდ წარმატებებს მიაღწია, ის გამოკვეთილი ლიდერი იყო.

როგორც ავღნიშნე, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე იგი სათადარიგოთა შორის იმყოფებოდა, ოთხი წლის შემდეგ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კი ნაკრების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. ფინალამდე მან ძალიან ძლიერად და შთამბეჭდავად ითამაშა – ექვს თამაშში გაიტანა ოთხი გოლი და ოთხი შესანიშნავი საგოლე პასი შეასრულა. ტურნირის მასპინძელ საფრანგეთის ნაკრებთან ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩის წინ კი საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს მეტოქეთა განაცხადები, სადაც არ ეწერა რონალდო. ამ ინფორმაციამ მთელი საფეხბურთო მსოფლიო გააოგნა. რამდენიმე წუთში სააგენტოებმა ახალი ვერსია გაავრცელეს, ბრაზილიის ნაკრებში რონალდო ითამაშებს!..

ეს ის წუთები იყო, როდესაც მსოფლიომ არ იცოდა, რომ იმ დღეს, შუადღისას, სასტუმრო ოთახში რობერტო კარლოსის თვალწინ რონალდოს ნერვული სტრესი მოუვიდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს. ბრაზილიელთა მთავარმა მწვრთნელმა – მარიო ზაგალომაც, შესაბამისად, შემადგენლობა

დაასახელა,მაგრამ რონალდო გონს მოვიდა და სტადიონისკენ გაემართა, რის გამოც ზაგალომ თერთმეტი კაცის სია შეცვალა. საბოლოოდ, ფინალში ბრაზილიელები 0:3 დამარცხდნენ ფრანგებთან. მიუხედავად ამ მარცხისა, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ რონალდო დასახელდა. ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ სელესაოსთან ერთად მან კიდევ მოიგო „კოპა ამერიკა“ და გუნდში კვლავ გამოირჩეოდა.

როგორც ვიცით, მარადონა ნარკოტიკების მოყვარული იყო, 1991 წელს სასამართლომ მას ნარკომანიისგან იძულებითი მკურნალობა მიუსაჯა. ყოველივე ამან მის ბრწყინვალე კარიერას მოუშუშებელი დაღი დაასვა. რონალდო კი არგენტინელისგან განსხვავებით წმინდა სპორტული მენტალიტეტისა და ხასიათის პიროვნებაა. ფენომენმა, როდესაც უმძიმესი ტრავმა მიიღო და მასზე თითქმის მთელმა მსოფლიომ ჩაიქნია ხელი, უდიდესი ნებისყოფის გამოვლენისა და თავდადებული ვარჯიშის ხარჯზე, იმდენი მოახერხა, თითქმის ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, დიდ ფეხბურთს დაუბრუნდა და მსოფლიოს მეჩვიდმეტე,მისთვის კი მესამე ჩემპიონატზე სრული ფურორი მოახდინა. რონალდო მსოფლიოს ჩემპიონი და რვა გატანილი გოლით ჩემპიონატის ერთპიროვნული საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ხოლო ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში უნიკალური შედეგი აჩვენა – მოიგო რა ყველა შვიდივე შეხვედრა ძირითად დროში. ბრაზილიელი მესამედ დაასახელეს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად და მეორედ გადასცეს ოქროს ბურთი. მას შემდეგ რონალდო კიდევ დაეუფლა ტიტულებს:მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, მეორედ აღმართა ესპანეთის სუპერთასი და კვლავ გახდა პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი.

აღნიშვნას იმსახურებს ერთი ფაქტიც: იმ სტადიონზე, სადაც რონალდომ გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში ორი გოლი გაუტანა, იმავე წელს მისთვის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაც მოხდა. მან მადრიდის „რეალთან“ ერთად საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო და იოკოჰამას „ინტერნეიშენალის“ არენაზე გოლი კვლავ გაიტანა, რის შემდეგაც მოხდა უპრეცენდენტო შემთხვევა და ამ დიდებულ სტადიონს მოქმედი ფეხბურთელის – რონალდოს სახელობის სტადიონი ეწოდა. ვერაფერს იტყვი, მართლაც შთამბეჭდავი კარიერაა.

აქვე ერთ პატარა გადახვევას გავაკეთებ და გეტყვით, რომ მსოფლიოს მასშტაბით უდიდესი ტურნირების ფინალებში ფენომენს რვაჯერ უთამაშია და აქედან შვიდ ფინალში გამარჯვებას მიაღწია, თანაც შვიდივე ფინალში გოლები გაიტანა. მსოფლიოს და

კონფედერაციის თასის ფინალებში კი სულაც დუბლი და ჰეთ-თრიკი შეასრულა. ამრიგად, მას შვიდ მოგებულ ფინალში მთლიანობაში სულ ათი გოლი აქვს გატანილი, რაც, დამეთანხმებით, ჯერ არნახული შედეგია.

გადავინაცვლოთ რამდენიმე წლით უკან და გავიხსენოთ 1986 წელს მექსიკაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც მარადონას ბენეფისად იქცა. იგი შეუდარებელი იყო და ეს ჩემპიონატი მთლიანად მის სახელთან ასოცირდება. ბელგიის და ინგლისის ნაკრებებთან მარადონას თამაში ფეხბურთის აპოგეაა, ხოლო მის მიერ ინგლისელთა კარში გატანილი ერთ-ერთი გოლი (ხელით გატანილს არ ვგულისხმობ) ენით აუწერელი სილამაზის იყო. მან მექსიკის მოედნებზე ხუთი გოლი გაიტანა, ფინალში კი გენიალური პასი შეასრულა, რომელიც ბურუჩაგამ გოლად გარდასახა. ამ გოლმა არგენტინელებს მსოფლიოს ჩემპიონობა მოაპოვებინა და მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელადაც მარადონა დასახელდა. მისთვის ეს პირველი მსოფლიო ჩემპიონატი არ ყოფილა, წინა ჩემპიონატზეც ითამაშა, თუმცა თავი დიდად ვერაფრით წარმოაჩინა.

1982 წელს ესპანეთის სტადიონებზე არგენტინის ნაკრებმა მხოლოდ ორ თამაშში გაიმარჯვა. აქედან ერთი ტურნირის ყველაზე სუსტს, სალვადორის ნაკრებს მოუგო,საპასუხოდ სამი თამაში წააგო და არგენტინა მარადონასთან ერთად შეჯიბრებას უსახელოდ გამოეთიშა.

მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე ვერცხლისქვეყნელთა ნაკრები კვლავ გავიდა ფინალში, მაგრამ ამაში მარადონას წვლილი მიზერული იყო. მიუხედავად ფინალში გასვლისა, გუნდმაც არაშთამბეჭდავად ითამაშა და ძირითად დროში მხოლოდ ორი მატჩი მოიგო. ერთ რამესაც უნდა დავაკვირდეთ, აღნიშნულ ჩემპიონატზე არგენტინელებმა ხუთი გოლის გატანა მოახერხეს, რონალდომ კი 2002 წელს სამხრეთ კორეასა და იაპონიაში გამართულ მსიფლიოს ჩემპიონატზე რვაჯერ შეძლო მოწინააღმდეგის კარის ბადეში ბურთის მოთავსება.ცნობისათვის: რონალდოს მსოფლიო ჩემპიონატებზე მეტოქე გუნდების კარი ყველაზე მეტჯერ აქვს დალაშქრული.

2006 წლის მუნდიალზე ქალაქ დორტმუნდში, მერვედფინალურ შეხვედრაში, ბრაზილიის ნაკრები განას

დაუპირისპირდა, მატჩის მეხუთე წუთზე რონალდომ მეკარე კინგსტონის კარში შესანიშნავი გოლი გაიტანა და დაამხო ლეგენდარული გერმანელი გოლეადორის გერდ მიულერის რეკორდი. ბრაზილიელი თხუთმეტი გატანილი გოლით მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

დავუბრუნდეთ მარადონას და, იმავდროულად ,,ისიც უნდა ვთქვათ, რომ მან ხსენებულ ჩემპიონატზე ერთი კინკილა გოლის გატანაც ვერ შეძლო.რომის ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ ფინალურ მატჩში კი არგენტინის ნაკრები გფრ-ის გუნდთან დამარცხდა ანგარიშით 0:1.

შემდეგ მარადონა ნარკოტიკებს მიეძალა და მისი,როგორც ფეხბურთელის, ვარსკვლავიც ჩაქრა.ამისდა მიუხედავად, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე არგენტინელთა მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა ალფიო ბასილემ უკლუბოდ დარჩენილი დიეგო ნაკრებში მიიწვია.ჯგუფში არგენტინელებს ერთ-ერთ მეტოქედ საბერძნეთის ნაკრები ჰყავდა, რომელმაც ტურნირზე სამიდან სამივე შეხვედრა წააგო,ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანა, ხოლო საკუთარ კარში ათი ბურთი მიიღო. ჯგუფის პირველ შეხვედრაში არგენტინის გუნდმა სწორედ ბერძნებს აყარა შავი დღე და ოთხი უპასუხო ბურთით „დაასაჩუქრა“. ერთი გოლი დიეგომაც გაიტანა. მან ჯგუფის მეორე შეხვედრაში ნიგერიის წინააღმდეგაც ითამაშა, მაგრამ ეს მატჩი მისთვის მსოფლიო ჩემპიონატებზე ბოლო გამოდგა. „ფიფამ ის აკრძალული პრეპარატის მიღებაში ამხილა და დისკვალიფიკაციით დასაჯა.

საერთოდ, მარადონა ყოველთვის ასოცირდება 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატთან და მის პერსონას მუდამ თან სდევს ფონად ინგლისელთა კარში გატანილი გოლი. ამ გოლმა მას უდიდესი რეკლამა გაუკეთა, რადგანაც ეს მოხდა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში. არადა, რონალდოს არანაკლები სილამაზის გოლები მრავლად აქვს შეგდებული. თავის დროზე მის მიერ „კომპოსტელას“ კარში გატანილი გოლი კი ნამდვილი საფეხბურთო შედევრი იყო.

რონალდო როდესაც ბარსელონაში თამაშობდა, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონმა ტოსტაომ მასზე თქვა – „ის იდეალური თავდამსხმელია, აქვს ძლიერი დარტყმა, შეუძლია ზუსტი პასის შესრულება, ორივე ფეხს საუცხოოდ ხმარობს, აქვს შეუჩერებელი დრიბლინგი და ფლობს მეტოქის მოტყუების შესანიშნავ ტექნიკას, ამ კომპონენტში რონალდო პელესაც და მარადონასაც სჯობია.“

გავიხსენოთ თუნდაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის უპრინციპულესი შესარჩევი მატჩი.ერთმანეთს ორი დაუძინებელი მტერი, ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებები ხვდებოდა.

ამ თამაშში რონალდომ სამი პენალტი გაიტანა და სამივე თერთმეტმეტრიანი მისი წაქცევისათვის დაინიშნა. ბრაზილიამ იმ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ, სამხრეთ ამერიკის ზონის ათგუნდიან ჯგუფში ჩამოიტოვა არგენტინა და პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო შესარჩევი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირი ათი გატანილი გოლით რონალდო გახდა..

ვისაც ფეხბურთი საფუძვლიანად ესმის და მარადონა პელესა და რონალდოს ურჩევნია, მათი ნებაა, მაგრამ ფეხბურთის ზედაპირულად მცოდნე ადამიანების აკვიატებული აზრი იმის თაობაზე, რომ მარადონას არგენტინის ნაკრებში ძლიერი პარტნიორები არ ჰყავდა, ხოლო პელეს თამაშს უმაღლესი კლასის თანაგუნდელები უადვილებდნენო, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია.

მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში ბრაზილიის ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვიდა:ჟილმარი, დე სორდი, ნილტონ სანტოსი, ზიტო, ბელინი (კაპ), ორლანდო, დიდი, ვავა, პელე, ზაგალო. ამ ფეხბურთელებმა საფრანგეთის ძალიან ძლიერ გუნდს 5:2 მოუგეს.ფრანგების კარში სამი გოლი პელემ გაიტანა.ფინალში ლეგენდარულმა ფეოლამ თითქმის ანალოგიური შემადგენლობა გაი-

ყვანა მოედანზე. მხოლოდ ერთი ცვლილება მოახდინა, დე სორდის ადგილი ჯალმა სანტოსმა დაიკავა და ბრაზილიის ნაკრებმაც ნახევარ-ფუნალური ანგარიში გაიმეორა და 5:2 მოიგო. ფეხბურთის ჯადოქრებმა ჩემპიონატის მასპინძელი შვედეთის ნაკრები დაამარცხეს, ხოლო პელემ ამჯერად ორი გოლის გატანა შეძლო.

თორმეტი წლის შემდეგ მეხიკოს „აცტეკას“ სტადიონზე ბრაზილიელები იტალიის ნაკრების წინააღმდეგ ფინალურ მატჩში შემდეგი შემადგენლობით გავიდნენ: ფელიქსი, კარლოს ალბერტო (კაპ), ბრიტო, პიაცა, ევერალდო, კლოდოალდო, გერსონი, რიველინო, ჟაირზინიო, ტოსტაო, პელე. „აცტეკაზე“ პლანეტის მეცხრე მუნდიალის ფინალში საბოლოოდ უნდა აღმართულიყო ჩემპიონი გუნდის მიერ „ნიკეს ოქროს თასი“, რადგანაც 1928 წლის 29 მაისს ამსტერდამის კონგრესზე დამტკიცებული მსოფლიო თასის გათამაშების პროექტის თანახმად, ქვეყანა, რომელი სამჯერ მოიპოვებდა ამ ჯილდოს სამუდამოდ დაიტოვებდა მას. იმ მომენტისათვის იტალიელებსაც და ბრაზილიელებსაც ორჯერ ჰქონდათ მოგებული ეს თასი.

ამ უმნიშვნელოვანესი და უპრინციპულესი შეხვედრის მე-19 წუთზე პელემ თავური დარტყმით ანგარიში გახსნა, ხოლო, როდესაც მატჩის მთავარმა არბიტრმა, გერმანელმა რუდი გლიოკნერმა საფინალოდ ჩასტვინა, ტაბლოზე 4:1 იყო დაფიქსირებული. ეს ციფრები ბრაზილიელთა სასარგებლოდ მეტყველებდა და თასმა, რომელიც ძველბერძნულ ქალღმერთ ნიკეს ოქროს ქანდაკებას წარმოადგენს და ზუსტად ორმოცი წელი თამაშდებოდა, საბოლოოდ, ევროპის ნაცვლად სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე დაიდო ბინა.

1958 და 1970 წლების ფინალებში ბრაზილა აბსოლუტურად სხვადასხვა შემადგენლობით იყო წარდგენილი. ამ ორ, განსხვავებული ფორმაციის გუნდებში თამაშობდა პელე და ის საუკეთესო იყო, ხოლო ზოგიერთების აზრით, მარადონას არგენტინის ნაკრებში კარგი პარტნიორები თუ არ ჰყავდა, მაშინ ვინ იყვნენ: მარიო კემპესი,დანიელ პასარელა, ხორხე ვალდანო, ოსკარ რუჯერი, ხორხე ბურუჩაგა, კლაუდიო კანიჯა, გაბრიელ ბატისტუტა....?

მარადონას შესახებ ერთსაც დავსძენ: მართალია, ის ცოტა რეკლამირებული ფეხბურთელია, მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ დიეგო უდიდესი მოვლენა იყო ფეხბურთში და მას, ნაკრების გარდა, „ბოკა ხუნიორსისთვის“ და განსაკუთრებით, „ნაპოლისთვის“ ფასდაუდებელი სამსახური აქვს გაწეული.

განვაგრძობ ფეხბურთის მეფეზე საუბარს და გაცნობებთ, რომ მან: სანტოსის“ შემადგენლობაში 1116 მატჩში 1088 გოლი გაიტანა და ამ კლუბში ის თვრამეტი წლის განმავლობაში თამაშობდა. პელესნაირი გაწონასწორებული და სტაბილური მოთამაშე მსოფლიოს არ ჰყოლია. „სანტოსთან“ ერთად იგი ოთხჯერ გახდა რიო-სან პაულუს შტატთა გამარჯვებული, თერთმეტჯერ მოიგო პაულისტას ჩემპიონატი, ორ-ორჯერ დაეუფლა ლიბერტადორესის და საკონტინენტთაშორისო თასებს, ერთხელ კი სამხრეთ ამერიკის თასიც მოიგო. მის მიერ ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მოგებული სამი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ კი ყველას კარგად მოეხსენება.

„სანტოსის“ კიდევ ერთმა ლეგენდარულმა ფეხბურთელმა პეპემ, ერთხელ, თქვა: მე „სანტოსის“ ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი ვარო. როდესაც მას ჰკითხეს, მაშ, პელე ვინღაა, პეპეს დაუფიქრებლად უპასუხია: პელე მხედველობაში არ მიიღება, ის ხომ ადამიანი არ არისო.

ფიტანეში

მაგიური თექვსმეტი წელიწადი

*** „1970 წელი“ / ბრაზილიელმა ტოსტაომ თავის თანაგუნდელ ბრიტოს გადასცა ბურთი, ბრიტომ ბურთი კლოდოალდოს დაუტოვა, კლოდოალდომ პელე მონახა, პელემ გერსონს მიაწოდა პასი, გერსონმა კვლავ კლოდოალდოს მიმართულებით შეასრულა გადაცემა, კლოდოალდომ რიველინო მოძებნა, ხოლო რიველინომ – ჟაირზინიო. ჟაირზინიომ პელეს გადააწოდა, პელემ კარლოს ალბერტოს დაუგორა ბურთი, კარლოს ალბერტომ კი შესანიშნავი დარტყმით დაასრულა ეს დიდებული ცხრასვლიანი კომბინაცია. 4:1 ! ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა!..

*** თექვსმეტი წლის შემდეგ. „1986 წელი“ / მარადონამ თანაგუნდელს თავით დაუგდო ბურთი, თანაგუნდელმაც თავით დაუბრუნა პასი არგენტინელ გენიოსს და უცებ დიეგომ ერთი შეხებით ჩინებული გადაცემა შეასრულა ბურუჩაგას მიმართულებით. დასავლეთ გერმანელთა მეკარე შუმახერთან – ბურუჩაგა პირისპირ აღმოჩნდა. 3:2 ! არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა!..

*** თექვსმეტი წლის შემდეგ. „2002 წელი“ /რონალდომ თანაგუნდელისგან პასი მიიღო – იგი წინ გაიჭრა და მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელთან ჭიდილში წაიქცა. მაგრამ ის დგება, იბრძვის, გერმანელებს ბურთს ართმევს, ხოლო შემდეგ რივალდოს დაუგორებს – რივალდოც ურტყამს! კანი იგერიებს, მაგრამ ბურთი ხელიდან უვარდება და რონალდო 67-წუთზე ანგარიშს ხსნის! მალე ის მეორე გოლსაც გაიტანს. 2:0! ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა!..

ჯრიწყიჯელი მატჩი

სუპერთამაში სუპერთასისთვის



ჟოზე მაურინიო და ხოსეპ გვარდიოლა

2013 წლის ზაფხული საინტერესო გამოდგა ფეხბურთის მოყვარულთათვის. ჯერ იყო და კონფედერაციის თასი ვიხილეთ ისეთი – მსოფლიო ჩემპიონატსაც კი დაამშვენებდა. შემდეგ „კოპა ლიბერტადორესის“ დრამატული და თვალსასეირო ფინალის მომსწრენიც გავხდით, სადაც რონალდინიოს გუნდმა „ატლეტიკო მინეირომ“ იმარჯვა და სავარაუდოდ მომავალ კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც საინტერესო დაპირისპირებას ვიხილავთ „მინეიროსა“ და „ბაიერნის“ სახით. საინტერესო იქნება რონალდინიოს თამაში გვარდიოლას გუნდის წინააღმდეგ, – იგი ხომ გვარდიოლას „ბარსელონაში“ მისვლის შემდეგ გახდა იძულებული წასულიყო კატალონიური კლუბიდან. თუმცა კლუბების მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, ხოლო მანამდე, შთამბეჭდავი საფეხბურთო ზაფხულის დასკვნითი მატჩის შესახებ ვთქვათ რამდენიმე სიტყვა, რომელშიც ერთმანეთს – შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტები: ლონდონის „ჩელსი“ და მიუნჰენის „ბაიერნი“ დაუპირისპირდნენ. მათი შერკინების მიზეზი და მიზანი ამჯერად ევროპის სუპერ თასი იყო. შეხვედრის ცხოველ ინტერესს არაერთი ფაქტორი განაპირობებდა... მივყვეთ თანმიმდევრობით:

1) ამ გუნდების უკანასკნელი დაპირისპირება, მიუნხენში, „ბაიერნის“ მშობლიურ არენაზე შედგა და გერმანული ფეხბურთის ნომერ პირველმა კლუბმა, საკუთარ მოედანზე, ძალზედ მტკივნეული მარცხი იწვნია.

2) ამ თამაშს დამატებით ინტრიგას სძენდა ის გარემოებაც, რომ ერთმანეთის წინაშე წარსდგებოდნენ ძველი ნაცნობები – საფეხბურთო გაგებით ერთმანეთის დაუძინებელი მტრები, ჟოზე მაურინიო და ხოსეპ გვარდიოლა. ორივე კლუბებში ახალი მისულები არიან და მათთვის ეს თამაში პირველი სერიოზული გამოცდა იქნებოდა.

3) „ჩელსიმ“ შარშან დაკარგა ევროპის სუპერთასის მოპოვების შანსი. მაშინ ლონდონელები ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის სტატუსით დაუპირისპირდნენ ესპანურ „ატლეტიკოს“, თუმც მადრიდელებთან ვერას გახდნენ. ამჯერად მათ უკვე ევროპის ლიგის მომგები კლუბის სახელით უნდა ეცადათ, რომ დაუფლებოდნენ სანუკვარ თასს.

4) „ბაიერნი“ შარშან ყველა ტურნირში მეორე ადგილზე გავიდა. წელს კი მიუნხენურმა „გრანდმა“ ყველგან იპირველა! მოიგო ბუნდესლიგა, გერმანიის თასი,ჩემპიონთა ლიგაზე კი ნამდვილი ფურორი მოახდინა და გათამაშების დასკვნით მატჩში სწორედ ის გუნდი დაამარცხა, რომელმაც შარშან შინაურ ასპარეზზე, – ჩემპიონატსა თუ გერმანიის თასის ფინალში, პირწმინდად დაჩაგრა. ეს გუნდი მოგეხსენებათ დორტმუნდის „ბორუსია“ იყო.

ლონდონის „ჩელსის“ განვლილ სამ წელიწადს თუ გადავხედავთ – აღმოვაჩენთ, რომ ეს გუნდი ყოველ წლიურად რაიმე ღირებულს იგებს. ჯერ იყო და პრემიერლიგაში იმარჯვა, ერთი წლის შემდეგ ინგლისის თასი და ევროპის ზეპრესტიჟული გათამაშების თასიც შემატა კოლექციას, ხოლო წელს ევროპის ლიგაზე იპირველა.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ზაფხულის დასკვნით ეტაპზე, ბოლო წლებში აგრერიგად პროგრესირებადი გუნდების დუელი კარგი დესერტი უნდა გამომდგარიყო ფეხბურთის გურმანთათვის.

ასეც მოხდა! მატჩი უაღრესად დაძაბული და დრამატიზმით აღსავსე გამოდგა. თამაში მრავალი თვალსასეირო მომენტით გამოირჩა... სახიფათო მომენტები, გოლები, წითელ-ყვითელი ბარათები, შეცდომები, აღმაფრენისა და „დაღმაფრენის“ წამები არ აკლდა ევროპის 2013 წლის სუპერთასის პრინციპულ დაპირისპირებას.

შეხვედრაში გუნდების მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა იგრძნობოდა. სუპერთასის დაუფლების მიზნით, – რაც ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის გამარჯვებულები ხვდებიან ერთმანეთს – მათ შორის ეს იყო ყველაზე მაგარი თამაში.

საბოლოოდ პენალტების სერიაში „ბაიერნმა“ იმძლავრა, ხოლო მაურინიოსა და გვარდიოლას დუელი ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა – თუმცა თამაშის ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება პირიქითაც მომხდარიყო.

ევროპის ლიგა (ყოფილი უეფას თასი)

ფერნანდო ტორესი ევროპის ლიგის თასით ხელში, 2013 წელი.

გუნდები	გამარჯვების რაოდენობა	ფინალში გასვლების რაოდენობა	ჩემპიონობის წლები	ფინალში გასვლის წლები
იუვენტუსი	3	1	1977, 1990, 1993	1995
მილანის ინტერი	3	1	1991, 1994, 1998	1997
ლივერპული	3	0	1973, 1976, 2001	
ბორუსია მიონხენგლადბახი	2	2	1975, 1979	1973, 1980
ტოტენჰემ ჰოტსპური	2	1	1972, 1984	1974
ატლეტიკო მადრიდი	2	0	2010, 2012	
ფეიენოორდი	2	0	1974, 2002	
გიოტებორგი	2	0	1982, 1987	
რეალ მადრიდი	2	0	1985, 1986	
პარმა	2	0	1995, 1999	
პორტო	2	0	2003, 2011	
სევილია	2	0	2006, 2007	
ანდერლეხტი	1	1	1983	1984
პსვ ეინდჰოვენი	1	0	1978	
ფრანკფურტის აინტრახტი	1	0	1980	
იპსვიჩ თაუნი	1	0	1981	
ბაიერ ლევერკუზენი	1	0	1988	
ნაპოლი	1	0	1989	
აიაქსი	1	0	1992	
მიუნჰენის ბაიერნი	1	0	1996	
შალკე 04	1	0	1997	
გალათასარაი	1	0	2000	

გუნდები	გამარჯვების რაოდენობა	ფინალში გასვლების რაოდენობა	ჩემპიონობის წლები	ფინალში გასვლის წლები
ვალენსია	1	0	2004	
მოსკოვის ცსკა	1	0	2005	
სანკტ. პეტერბურგის ზენიტი	1	0	2008	
დონეცკის შახტიორი	1	0	2009	
ჩელსი	1	0	2013	

ევროპის თასების ეშლოველთა თასი

გუნდები	გამარჯვების რაოდენობა	ფინალში გასვლების რაოდენობა	ჩემპიონობის წლები	ფინალში გასვლის წლები
ბარსელონა	4	2	1979, 1982, 1989, 1997	1969, 1991
ანდერლეხტი	2	2	1976, 1978	1977, 1990
მილანი	2	1	1968, 1973	1974
ჩელსი	2	0	1971, 1998	–
დინამო კიევი	2	0	1975, 1986	–
ატლეტიკო მადრიდი	1	2	1962	1963, 1986
რეინჯერსი	1	2	1972	1961, 1967
არსენალი	1	2	1994	1980, 1995
ფიორენტინა	1	1	1961	1962
ვესტ ჰემ იუნაიტედი	1	1	1965	1976
ჰამბურგი	1	1	1977	1968
აიაქსი	1	1	1987	1988
სამპდორია	1	1	1990	1989
პარმა	1	1	1993	1994
პარი სენ ჟერმენი	1	1	1996	1997
ტოტენჰემ ჰოტსპური	1	0	1963	–
სპორტინგი	1	0	1964	–
დორტმუნდის ბორუსია	1	0	1966	–
მიუნჰენის ბაიერნი	1	0	1967	–
ბრატისლავას სლოვანი	1	0	1969	–
მანჩესტერ სიტი	1	0	1970	–
მაგდებურგი	1	0	1974	–
ვალენსია	1	0	1980	–
დინამო თბილისი	1	0	1981	–
აბერდინი	1	0	1983	–
იუვენტუსი	1	0	1984	–
ევერტონი	1	0	1985	–
მეხელენი	1	0	1988	–
მანჩესტერ იუნაიტედი	1	0	1991	–

გუნდები	გამარჯვების რაოდენობა	ფინალში გასვლების რაოდენობა	ჩემპიონობის წლები	ფინალში გასვლის წლები
ბრემენის ვერდერი	1	0	1992	–
სარაგოსა	1	0	1995	–
ლაციო	1	0	1999	–

ჯანფრანკო ძოლა და ჯანლუკა ვიალი თასების მფლობელთა თასით ხელში, 1998 წელი

აბურთავებული იუპ ჰაინკენსი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი, 2013 წელი

ევროპის ჩემპიონთა ლიგა

გუნდები	გამარჯვების რაოდენობა	ფინალში გასვლების რაოდენობა	ჩემპიონობის წლები	ფინალში გასვლის წლები
მადრიდის რეალი	9	3	1956, 1957, 1958, 1959, 1960, 1966, 1998, 2000, 2002	1962, 1964, 1981
მილანი	7	4	1963, 1969, 1989, 1990, 1994, 2003, 2007	1958, 1993, 1995, 2005
მიუნჰენის ბაიერნი	5	5	1974, 1975, 1976, 2001, 2013	1982, 1987, 1999, 2010,2012
ლივერპული	5	2	1977, 1978, 1981, 1984, 2005	1985, 2007
ბარსელონა	4	3	1992, 2006, 2009, 2011	1961, 1986, 1994
აიაქსი	4	2	1971, 1972, 1973, 1995	1969, 1996
მილანის ინტერი	3	2	1964, 1965, 2010	1967, 1972
მანჩესტერ იუნაიტედი	3	2	1968, 1999, 2008	2009, 2011
ბენფიკა	2	5	1961, 1962	1963, 1965, 1968, 1988, 1990
იუვენტუსი	2	5	1985, 1996	1973, 1983, 1997, 1998, 2003
ნოტინგემ ფორესტი	2	0	1979, 1980	—
პორტო	2	0	1987, 2004	—

გუნდები	გამარჯვების რაოდენობა	ფინალში გასვლების რაოდენობა	ჩემპიონობის წლები	ფინალში გასვლის წლები
ჩელსი	1	1	1967	1970
ჰამბურგი	1	1	1983	1980
ბუქარესტის სტიაუა	1	1	1986	1989
მარსელის ოლიმპიკი	1	1	1993	1991
ჩელსი	1	1	2012	2008
დორტმუნდის ბორუსია	1	1	1997	2013
ფეიენოორდი	1	0	1970	—
ასტონ ვილა	1	0	1982	—
პსვ ეინდჰოვენი	1	0	1988	—
რედ სტარ ბელგრადი	1	0	1991	—
რეიმსი	0	2	—	1956, 1959
ვალენსია	0	2	—	2000, 2001
ფიორენტინა	0	1	—	1957
ფრანქფურტის აინტრახტი	0	1	—	1960
პარტიზანი	0	1	—	1966
პანათინაიკოსი	0	1	—	1971
მადრიდის ატლეტიკო	0	1	—	1974
ლიდს იუნაიტედი	0	1	—	1975
სენტ-ეტიენი	0	1	—	1976
მიონხენ გლადბახის ბორუსია	0	1	—	1977
ბრიუგე	0	1	—	1978
მალმიო	0	1	—	1979
რომა	0	1	—	1984
სამპდორია	0	1	—	1992
ლევერკუზენის ბაიერი	0	1	—	2002
მონაკო	0	1	—	2004
არსენალი	0	1	—	2006

ანეგდოტი

კაცი მივიდა ექიმთან და ეუბნება:

– ექიმო ამ ბოლო დროს ჰალუცინაციები მაწუხებს.

– კერძოდ რას უჩივით? – პასუხობს ექიმი.

– მეჩვენება, რომ ვირები ფეხბურთს თამაშობენ...

– კარგით, მე თქვენ გამოგიწერთ წამალს. დღეიდან დაიწყეთ მისი მიღება და პრობლემაც მალე მოგვარდება.

– ექიმო არ შეიძლება წამლის მიღება ხვალიდან, რომ დავიწყო?

– რატომ, დღეს რა გიშლით ხელს?

– დღეს ვირებს ფინალი აქვთ სათამაშო!

ფრთიანი ფრაზები

- „ფეხბურთი ძალიან მარტივი თამაშია, მაგრამ ყველაფერს მეტოქე გუნდის არსებობა ართულებს.“

ჟან პოლ სანტრე, ფრანგი ფილოსოფოსი

- „ფეხბურთი ზუსტად ისე შემიყვარდა, როგორც პირველი ქალი ჩემს ცხოვრებაში: უცებ, ყოველგვარი მოლოდინის და იმ ტკივილის გააზრების გარეშე, რომელსაც შემდგომში ის მომიტანდა...“

ნიკ ჰორნბი, ინგლისელი მწერალი

- „ფეხბურთი ზედგამოჭრილი თამაშია მახინჯი გოგონებისთვის და არა სიმპატიური ბიჭებისთვის.“

ოსკარ უაილდი, ინგლისელი დრამატურგი

- „ღმერთმა სამყარო ხუთ დღეში შექმნა, მეშვიდე დღეს დაისვენა, მეექვსე დღეს კი ფეხბურთი შეიქმნა და ყოველ შაბათს მთელი მსოფლიო სტადიონებზე დადის...“

ხორხე ლუის ბორხესი, არგენტინელი მწერალი და პოეტი

ექვსს უკლია... ბრაზილია

საფეხბურთო ნოველა

2011 წლის ერთ მშვენიერ დღეს, – კერძოდ 13 ივლისს, – ფეხბურთის დიდი მოყვარული, მშობლიური ნაკრებისა და „ბოტაფოგოს“ მრავლის მნახველი ქომაგი, სამოცდაჩვიდმეტი წლის ტიაგო ანტონიო, – კორკოვადოს მთის წვერზე მაცხოვრის უზარმაზარი ქანდაკების ქვეშ იდგა და გუანაბანას ყურეს, კოპაკაბანას პლაჟს, მთა პან-დი-ასუკარს და, ერთი სიტყვით, რიო-დე-ჟანეიროს თვალწარმტაც საერთო ხედს გაჰყურებდა. მას თან ახლდა ინგლისიდან ჩასული, ახლად დაარსებული ჟურნალის „ფეხბურთის სამშობლოს“, პორტუგალიური ენის მცოდნე ყმაწვილი ჟურნალისტი. ის საინტერესო საფეხბურთო მასალის მოსაგროვებლად გამოეგზავნა ჟურნალის რედაქციას იმ ქვეყანაში, რომლის ეროვნულმა ნაკრებმაც ყველაზე მეტჯერ – ხუთჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი და მომავალ მსოფლიოს მეოცე საფეხბურთო ჩემპიონატსაც ეს ქვეყანა გაუწევდა მასპინძლობას.

ლოურენს ბატჩერმა დიქტოფონი ჩართო და კითხვით მიმართა მოხუცს:

– თქვენ სტაჟიანი გულშემატკივარი ბრძანდებით. სტადიონზე არა ერთი ძლიერი ფეხბურთელის თამაში გიხილავთ, ამასთანავე რამდენიმე საფეხბურთო წიგნის ავტორიც ხართ, – ამიტომ წინასწარ ვგრძნობ, რომ თქვენთან საუბარი და თქვენი აზრის მოსმენა ძალზე საინტერესო იქნება. გთხოვთ, გაიხსენოთ ის ყველაზე უფრო სასიხარულო და ყველაზე დიდი იმედგაცრუების ამბავი, რაც ფეხბურთისგან განგიცდიათ და დაგამახსოვრდათ.

– ასეთი ბევრი იყო... რომელი ერთი დაგისახელოთ? აი, მაგალითად, ერთი შეხედვით, თითქოს არც დიდ იმედგაცრუებასთან და არც დიდ სიხარულთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს იმ ამბავს, რომლის თვითმხილველიც გახლავართ, მაგრამ ძალიან გამახარა: 1953 წლის 9 ივლისი იყო...

სწორედ იმ დღეს – ცხრამეტი წელი შემისრულდა. ჩემს თანატოლ-მეგობრებთან ერთად ბოტაფოგოს სტადიონისკენ გავწიე, რათა ჩემი რჩეული გუნდის ფეხბურთელების ვარჯიშს დავსწრებოდი. ფეხბურთელთა წვრთნას ვუცქირეთ და, როდესაც ეს პროცესი



დასასრულს უახლოვდებოდა, ბოტაფოგოს მწვრთნელმა ქვეყნის ნაკრების სახელგანთქმულ მარცხენა მცველს ნილტონ სანტოსს ერთი ყმაწვილის გამოცდა დაავალა. მინდორზე კოჭლობით გამოვიდა ჭაბუკი, გარშემო ერთი ვაი-უშველებელი ატყდა, იცინოდა ყველა, მათ შორის მეც. ცოტა ხანში კოჭლმა პასი მიიღო. ნილტონი მისკენ გაეშურა ბურთის წასართმევად და მიუახლოვდა თუ არა, კოჭლმა ბურთი მსწრაფლ ფეხებშუა გაუძვრინა. ნილტონმა გამოდევნება სცადა. მაგრამ წონასწორობა დაკარგა და ფეხებაშვერილი ძირს გაიშხლართა – სტადიონზე საყოველთაო ხარხარს მეც შევუერთდი. მაშინ რაღაც განსაკუთრებულად დიდი სიხარულის გრძნობა დამეუფლა. აი, ასეთი საჩუქარი „მომიძღვნა“ გარინჩამ დაბადების დღეზე და მომავალშიც ბევრჯერ დამასაჩუქრა თავისი საუცხოო თამაშით.

ტიაგომ ღრმად ჩაისუნთქა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და საუბარი კვლავ ახალი შემართებით განაგრძო...

– გავიხსენებ ერთ შემთხვევასაც: შვედეთში გასამართი მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის წინ, ამხანაგურ შეხვედრაში, ბრაზილიის ნაკრები „ფიორენტინას“ შეხვდა. ამ თამაშსაც სტადიონიდან ვუყურებდი. მატჩის მიმდინარეობის ერთ-ერთ მომენტში გარინჩამ „ფიორენტინას“ მთელი დაცვა მოატყუა, მიაყოლა მეკარეც და ბურთით კარის ხაზზე გაჩერდა. ტრიბუნებიდან ხალხი ფეხზე წამოიჭრა. გულშემატკივრები გაოცებულები შესცქეროდნენ მას. როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე, ბრაზილიელი მოწინააღმდეგის ერთ-ერთ მცველს უცდიდა, რომელიც მეკარის დასახმარებლად მირბოდა. გარინჩა მოთმინებით უცდიდა, ვიდრე მიუახლოვდებოდა, მერე უეცარი მანევრით მოატყუა და ბურთი-

ანად შევიდა „ფიორენტინას“ კარში. გარინჩას ფინტზე წამოგებულმა იტალიელმა კი ორიენტაცია დაკარგა და თავით კარის ძელს შეასკდა. ყველას სიცილი აუტყდა, მათ შორის „ფიორენტინას“ მოთამაშეებსაც. ეს იყო მართლაც „ღვთაებრივი კომედია“, ოღონდ ამჯერად დიადი იტალიელი პოეტის დანტე ალეგიერისეული არა. ის თამაში ბრაზილიელებმა 4:0 მოიგეს და მსოფლიოს ჩემპიონატზეც, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით გაიმარჯვეს.

მოკლედ, ბრაზილიის ნაკრებისა და ბოტაფოგოს თითოეული გამარჯვება ყოველთვის დიდ სიხარულს მგვრის, მაგრამ იმედგაცრუებაც მქონია. ამგვარი ამბებიდან უთუოდ გამოვარჩევდი ერთს, რის გამოც კვირის განმავლობაში ვტიროდი.

მამამ წამიყვანა მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩზე დასასწრებად. მაშინ თექვსმეტი წლის გახლდით. „მარაკანა“ გადაჭედილი იყო – ურუგვაელებს ვხვდებოდით. მთელ ქვეყანას, მათ შორის მამასაც და მეც, გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარებოდა...

ტიაგო ანტონიომ უცებ თხრობა შეწყვიტა. მოხუცმა და ახალგაზრდა ინგლისელმა ერთმანეთს გადახედეს. ინგლისელი გაოგნებული ჩანდა.

– ეს რას ნიშნავს? ძლივს წაილუღლუღა ლოურენსმა.

– დიახ, ეხლა ბრაზილიაში დრო გაჩერებულია, – გაჩერებულია მინუმუმ სამი წლით. უპასუხა მოხუცმა.

ინგლისელის გაოცების მიზეზი რიო-დე-ჟანეიროს ცაზე გამოსახული საათი შეიქმნა, რომელიც სამი ფერით იყო გაწყობილი. ფერთა პალიტრას: ყვითელი, მწვანე და ლურჯი ფერები შეადგენდა. საათზე რეალურთან შეუსაბამო დრო იყო დაფიქსირებული, – ექვსს ეკლდა ოცდახუთი წუთი... ჩვეულებისამებრ, პატარა ისარი ხუთსა და ექვსს შუა გაჩერდა, ხოლი დიდი ისარი შვიდთან დაფიქსირდა. უცებ საათის ციფერბლატზე 7-ის მაგივარად აღიბეჭდა ლათინური ასო – B, 8-ის მაგივრად გამოიხატა ასო – R, 9-ის მაგივრად ასო – A, 10-ის ნაცვლად ასო – S, 11-ის ნაცვლად ასო – I და 12-ის ნაცვლად ასო – L. ციფრები და ასოები თანაბარი რაოდენობისა და ერთმანეთთან ურთიერთპროპორციული იყო. საათი ასეთ დროს გვიჩვენებდა – ექვსს ეკლდა ბრაზლია...

– დიახ, ექვსს უკლია ოცდახუთი წუთი ანუ ექვსს უკლია ბრაზილია!.. იმედია, მოვესწრები, იმედია ცოცხალი ვიქნები ექვს საათზე, – ეს სიტყვები აღმოხდა მოხუცს.

ტარიელ კინწურაშვილი

ელექტრონული წიგნები

ტარიელ კინწურაშვილის მოთხრობებისა და ლექსების ნახვა შესაძლებელია ინტერნეტმისამართზე: http://dspace.nplg.gov.ge/.

მოთხრობები ფილოსოფიური ხასიათისაა და სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრს განეკუთვნება.

ლომიდან არმადილომდე

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა – არმადილო

სიმბოლურია, რომ სწორედ ფეხბურთის სამშობლოში ჩაეყარა საფუძველი იმ ტრადიციას, რომელმაც უფრო გაახალისა და გაალამაზა პლანეტის უპირველესი საფეხბურთო შეჯიბრება.

1966 წელს, ინგლისში გამართული ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ წესად დამკვიდრდა, ყველა ამ გათამაშებას თავისი თილისმა ჰყოლოდა.

წლების განმავლობაში თილისმის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მას გარკვეულწილად იმ ქვეყნის ისტორია და კულტურა აესახა სადაც ტურნირი ტარდებოდა.

თილისმებად ძირითადად ადამიანებს და ცხოველებს ირჩევდნენ, თუმცა აბსტრაქტული ფიგურებიც გამოერეოდა ხოლმე. აი ისინიც :

„ვილი“ (ინგლისი - 1966 წელი) ლომი ინგლისურ ჰერალდიკაში ძალზედ გაშინაურებული ცხოველია. ის ცხოველთა მეფეა და მიუხედავად იმისა, რომ ლომები ინგლისში არ ბინადრობენ, –ამ თილისმით ბრიტანელებმა ერის ამაყ ბუნებას გაუსვეს ხაზი.

„ხუანიტო“ (მექსიკა - 1970 წელი) ხუანიტო, რომელიც ხუანის მოფერებითი ფორმაა, გახდა პირველი ადამიანი თილისმა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. ჭაბუკ ხუანიტოს მექსიკური სომბრერო ახურავს თავზე.

„ტიპი და ტაპი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა - 1974 წელი) ეს ორი ბიჭი, რომლებიც ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებიან ერთიან სიმბოლოს ქმნის. ეს ორად გაყოფილი გერმანიის სიმბოლო იყო.

„გაუჩიტო“ (არგენტინა - 1978 წელი) გაუჩიტოც ხუანიტოსი არ იყოს კნინობითი სახელია. სახელების მსგავსი დაბოლოებები ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. გაუჩიტო, რომელიც არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ფორმაში გამოწყობილი მოზარდია, გარკვეულწილად მომავალს ეხმაურება და სამომავლო პერსპექტივების იმედს იძლევა. დღევანდელი გადმოსახედიდან, მე პირადად მასში მარადონას ვხედავ. გაუჩიტო მიღებულია სახელიდან – „გაუჩო“.

„ნარანხიტო“ (ესპანეთი - 1982 წელი) ეს არის ფორთოხალი, რომელიც მართალია მთელი ესპანეთის მასშტაბით არ ხარობს, მაგრამ ესპანეთში არის ადგილები სადაც ამ ხილის პლანტაციები უხვად არის და ეს ქვეყანა მსოფლიოში ფორთოხლის ერთ-ერთ უმსხვილეს მწარმოებლად ითვლება. სხვათაშორის მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ესპანეთში ფორთოხლის გაყიდვის ბუმი დაიწყო. ნარანხიტო სიხარულისა და სიცოცხლის სიმბოლო იყო.

„პიკე“ (მექსიკა - 1986 წელი) მექსიკა გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატს მეორედ უმასპინძლა, – თილისმად არჩეულ იქნა თითქმის ყველა მექსიკური კერძის შემადგენელი ინგრედიენტი „ცხარე წიწაკა“ – რაღა თქმა უნდა კვლავ მექსიკური სომბრეროს თანხლებით.

„ჩაო“ (იტალია - 1990 წელი) ეს თილისმა შეიძლება ითქვას ყველაზე ორიგინალური და აბსტრაქტულია მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. ის იტალიის ეროვნული დროშის ფერებშია გამოწყობილი.

„სტრაიკერი“ (ამერიკის შეერთებული შტატები - 1994 წელი) სტრაიკერი, რომელიც თავისი შინაარსით თავდამსხმელის როლს ასრულებდა, ერთგვარი გამოხატულება იყო იმისა, რომ არც თუ ისეთ საფეხბურთო ქვეყანას, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, – სურდა სამშობლოში ჩატარებული ჩემპიონატი: ლაღი, სანახაობრივი და ბევრი გოლით „დახუნძლული“ ყოფილიყო. ამერიკელები საქმეს ერთობ სერიოზულად მიუდგნენ და თილისმა ისეთ ცნობილ კომპანიას დაამზადებინეს, როგორიც არის „უორნერ ბრაზერსი“.

„ფუტიქსი“ (საფრანგეთი - 1998 წელი) ეს პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ფრთოსანი ქმნილებაა მუნდიალების თილისმებს შორის. ფრანგებმა რაღა თქმა უნდა ნაციონალური მამალი აირჩიეს. (ფუტიქსი ბოლო ზარის მაისურაზე მეხატა, – მამლის წელიწადში ვარ დაბადებული **„ავტორი“**).

„ატო“, „კაზი“ და „ნიკი“ (სამხრეთ კორეა - იაპონია - 2002 წელი) ესენი იყვნენ ფანტასტიური პერსონაჟები – მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის სტუმრები უცხო პლანეტიდან.

„გოლეო“ (გერმანია - 2006 წელი) და ისევ ლომი ! ცხოველთა მეფე ორმოცი წლის შემდეგ კვლავ დაბრუნდა. გალეო უფრო წააგავდა ნამდვილ ლომს ვიდრე მისი წინამორბედი ვილი. გერმანელებმა კი უკვე გაერთიანებული გერმანიის სახელით უმასპინძლეს უდიდეს საფეხბურთო ფორუმს.

„ზაკუმი“ (სამხრეთ აფრიკა - 2010 წელი) ლეოპარდი! ეს უკვე მესამედ კატისებრთა ოჯახის ბინადარი... ეს ცხოველი ხომ აფრიკაში ბინადრობს. ზაკუმი აფრიკის კონტინენტზე პირველად გამართული მსოფლიო ჩემპიონტის თილისმა იყო.

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის თილისმაა არმადილო, რომელსაც რას დაარქმევენ, ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ. ჯერჯერობით მხოლოდ მისი სამი სავარაუდო სახელია ცნობილი: „ამიჯუბი“, „ფულეკო“ და „ზუზეკო“. ამ ცხოველს გადაშენება ემუქრება და სწორედ ამიტომ მოხდა მისი თილისმად არჩევა. არმადილო შესახედაობით – ხალას, მხიარულ განწყობას ქმნის. 2014 წლის საფეხბურთო ბატალიებისას, როგორი მხიარულების და აღმაფრენის დღეებიც იქნება ბრაზილიაში, – ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება.



მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატების თილისმები

ტელსტარიდან ბრაზუკამდე

ასეთი ბურთით ითამაშებენ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე

გერმანულმა კომპანია ადიდასმა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს სპორტულ ბრენდს – ფეხბურთის ბურთების შექმნა 1963 წლიდან დაიწყო, ხოლო ფიფას ოფიციალური პარტნიორი შვიდი წლის შემდეგ გახდა და მექსიკაში გამართულ 1970 წლის მეცხრე ჩემპიონატიდან მოყოლებული ექსკლუზიურად ამზადებს ბურთებს უპირველესი საფეხბურთო ტურნირისათვის. აი ის ბურთებიც:

„ტელსტარი“ (მექსიკა - 1970 წელი) ადიდასის ბურთების სერია გახსნა ტელსტარმა. ეს ბურთი ხელნაკეთი იყო. ის შავი ფერის თორმეტი ხუთკუთხა და თეთრი ფერის ოცი ექვსკუთხა ფორმისგან შედგებოდა. ტელსტარმა გამორჩეული ადგილი დაიკავა ფეხბურთის ისტორიაში და ერთგვარად ბურთის კლასიკურ ნიმუშად იქცა.

„ტელსტარ დურლასტი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა - 1974 წელი) დასავლეთ გერმანიაში ჩატარებულ მსოფლიო პირველობას, წინა გათამაშების ოფიციალური ბურთის მსგავსი მრგვალი სფერო ამშვენებდა. ის მცირედით განსხვავდებოდა მისი წინამორბედისგან და ეს ამ ბურთის სახელშიც გამოიხატა.

„ტანგო“ (არგენტინა - 1978 წელი) ადიდასმა ბურთს დიზაინი შეუცვალა და ეს სტილი მომდევნო ოცი წლის განმავლობაში შეინარჩუნა. რა თქმა უნდა ყოველ მომდევნო ბურთს თავისებური გაფორმება ჰქონდა, მაგრამ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ჩათვლით, ბურთების მოხატვის ფორმა ოცი ტრიადით გამოიხატებოდა.

„ტანგო ესპანია“ (ესპანეთი - 1982 წელი) ისევე როგორც ტელსტარის შემთხვევაში მოხდა – ტანგომაც მცირე მოდიფიკაცია განიცადა და ყოველივე ეს ბურთის სახელწოდებაშიც აისახა.

„აცტეკა“ (მექსიკა - 1986 წელი) მექსიკაში მეორედ გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის – ადიდასმა აცტეკთა კულტურის სიმბოლოებით გაწყობილი ბურთი დაამზადა. აღსანიშნავი ფაქტია, რომ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ერთადერთხელ მოხდა, როცა ტურნირის ყველა ბურთი ხელით შეკერეს. ეს ფიფას პირველი ოფიციალური ბურთი იყო, რომელიც სინთეტიკური მასალით დაამზადეს.

„ეტრუსკო უნიკო“ (იტალია - 1990 წელი) ეს ბურთი ნოვატორული გახდა იმით, რომ მისი შიდა ფენა პოლიურეტანის ქაფით იყო შესრულებული – რამაც ის უფრო სწრაფი და წყალგაუმტარი გახადა. ბურთი ისტორიულ ორნამენტებს შეიცავდა. ეტრუსკო უნიკოს ოცტრიადაში ეტრუსკების სამთავიანი ლომები იყო ჩახატული.

„კუესტრა“ (ამერიკის შეერთებული შტატები - 1994 წელი) ბურთი რომელიც ადიდასმა ამერიკაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის დაამზადა, წინა ბურთებთან შედარებით უფრო სწრაფი იყო და წყლითაც არ იჟღინთებოდა.

„ტრიკოლორი“ (საფრანგეთი - 1998 წელი) ტრიკოლორის ორიგინალურობა იმაში გამოვლინდა, რომ ის გახდა პირველი ფერადი ბურთი. ადიდასმა ტრიკოლორი საფრანგეთის დროშის ფერებით გააფორმა და ფრანგების ნაციონალური მამლის კუდებიც მიახატა ბურთებს.

„ფივერნოვა“ (სამხრეთ კორეა - იაპონია - 2002 წელი) ადიდასმა აზიაში გამართულ მუნდიალზე ტრადიცია დაარღვია. ოცდამეერთე საუკუნეში – მეოცე საუკუნისთვის მიღებული ოცი ტრიადით გაწყობილი ბურთი აღარ გამოუშვა და ამ ნოვაციის შედეგად გარკვეული კრიტიკაც დაიმსახურა – თუმცა ტექნოლოგიური თვალსაზრისით ფივერნოვა თავის წინაპრებს რა თქმა უნდა აღემატებოდა.

„ტიმგაისტი“ (გერმანია - 2006 წელი) ეს გახლდათ შემთხვევა, როდესაც ბურთები კონკრეტულად განსაზღვრული იყო თითოეული მატჩისათვის. ბურთებზე შეხვედრის თარიღი, ასევე მონაწილე გუნდების და სტადიონის სახელები ეწერა.

„ჯაბულანი“ (სამხრეთ აფრიკა - 2010 წელი) ამ ბურთმა ბევრი მითქმა მოთქმა გამოიწვია საფეხბურთო სამყაროში, რადგან ძალიან მსუბუქი და ყველაზე აეროდინამიური ნაკეთობა გამოდგა ადიდასის მიერ შექმნილ ბურთებს შორის. იგი შესრულებული იყო 100%-ანი თერმოპლასტიკური პოლიურეტანით.

მომავალ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი ვიხილავთ ადიდასის მიერ შექმნილ კიდევ ერთ შედევრს. ბურთს, რომელიც ბრაზილიის ხასხასა მინდვრებს დაამშვენებს „ბრაზუკა“ ერქმევა. ეს ბურთი შესახედაობით თავისი წინამორბედებისგან საგრძნობლად განსხვავდება. ადიდასმა ამ ბურთში ახალი საფეხბურთო მოდის ტენდენციები ჩააქსოვა. იმედია ბრაზილიაში მრავალი ლამაზი გოლი გავა და ამაში ბრაზუკაც თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს...

მსოფლიო ჩემპიონატის ბურთები 1970 წლიდან 2014 წლის ჩათვლით



მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი ნახევარმცველი ფრენკ რიბერი ევროპის სუპერთასით ხელში.
პრაღა, 30 აგვისტო, 2013 წელი.